პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

„გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 190 (19332) ◆ კვირა, 18 აგვისტო, 1985 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

მკვეთრად გაადidებენ ტვირთზიდვას

სოციალისტური ვალდებულებანი

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში ყოველი მუშაუქი ავტომობილების საწარმოო გაერთიანების კოლექტივის თათსნობას ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ ქიათურის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების მუშაკები, მათ გადაწყვიტეს მხოლოდ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებითა და შრომის ნაყოფიერების ზრდით გადადონ მეთორმეტე ხუთწლედის და, კერძოდ, შომავალი წლის ტვირთზიდვის მოცულობა. ეს კი მთლიანად შეესაბამება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „მეურნეობრიობის ახალი მეთოდების ფართო გავრცელებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე მათი ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“.

„ქიათურელთა ეს პატრიოტული ინიციატივა მოიწონეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლეგიამ და ავტოტრანსპორტისა და გზატკეცილების პროფკავშირის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა.

- დავიწყებთ იმით, რომ გაერთიანების კოლექტივი მთელი მონდომებით იბრძვის სტაბილური შედეგებისათვის და აღწევს კიდეც მიზანს, მეცხრე ხუთწლედიდან მოყოლებული სისტემატურად იხრება ტვირთზიდვა, იზოგება საწვავი და სხვა მატერიალური რესურსები, უმჯობესდება ტრანსპორტის მომსახურება, მტკიცდება შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინა, განსაკუთრებით დამჯერებელია კოლექტივის წარმატებანი მიმდინარე ხუთწლედში.

ქიათურელმა ავტოტრანსპორტელებმა განიხილეს 1986 წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის საკონტროლო ციფრები, გულმოდგინედ გამოძებნეს რეზერვები, აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მომავალი წლის გეგმის გადამეტებით 230 ათას ტონა ტვირთს გადაზიდავენ. მეთორმეტე ხუთწლედის დამლევს ეს ციფრი მილიონ ტონამდე გაიზრდება. ზეგიგმითი მოგება გაისად 50 ათას მანეთს გადააჭარბებს. ქიათურელებმა შრომის ნაყოფიერების ყადიდების ზომათა ულებითაც პასუხსაგები ამოცანა დაისახეს. ეს მაჩვენებელი მომავალ ხუთწლედში გეგმასთან შედარებით 5 პროცენტით გადიდდება, ერთ მანეთს შემოსავალზე დანახარჯები 3 პროცენტით შემცირდება.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ავტოტრანსპორტელები მომქონობას. ვარაუდობენ, რომ ეკონომიის რეჟიმის დაცვით, მფლანგველობისა და ფამატებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებით ხუთწლედის მანძილზე სულ ცოტა 120 ტონა სობობსა და 50 ათას კილოვატსაათ ელექტროენერგიას დაზოგავენ, რაც შეიზლება ცენტრალიზებული ტვირთზიდვის წილს, მას გეგმასთან შედარებით 2 პროცენტით გაზრდიან, და ეს ცოტა როდია.

ყურადღების ცენტრში მოექცევა მუშაობის ბრიგადული ფორმის სრულყოფა, სამეურნეო ანგარიშზე შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გათვალისწინებით ხუთწლედში 25 ბრიგადა გადავა.

ცხადია, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში წამყვანი როლი ადამიანის ფაქტორს მიეკუთვნება და ამიტომ გაერთიანებაში ვალდებულებით 500 მძღოლი და 200 შემკეთებელი ათმაღლებს კვალიფიკაციას.

ქიათურის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების კოლეგიებმა საწარმოს საერთო კრებაზე მიიღო ეს ვალდებულება და სხოვა რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, ავტოტრანსპორტისა და გზატკეცილების პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს ნაკისრი ვალდებულებანი ნაოფიცალს საწარმოს საბალანსო მოგებას შემადგენელ ნაწილად და პირობა დადო, რომ სიტყვას არ ვატეხს.

ახლა გაერთიანებაში მრავალი ღონისძიება ხორციელდება მიმდინარე წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის გეგმებისა და ვალდებულებების ეადამდე ეადამდე შესრულებისათვის: ავტოტრანსპორტელები შრომობენ დღეებზეთ: სკკპ XXVII ყრილობის — 27 დამკვრელური ვაჭარ მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმას ავტოტრანსპორტელები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 68 წლისთავისთვის — 7 ნოემბერს, ხოლო მომავალი წლისას — სკკპ XXVII ყრილობის ეახსნის დღეს — 25 თებერვალს შეასრულებენ.

შ. ამაშუკელი.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

17 აგვისტოს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XXIV პლენუმი. პლენუმზე მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, პარტიის რაიკომების უფლებების მქონე პარტკომების მდივნები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, რომლებიც არ შედიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული აღმასკომების, რაიონული აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებების თავმჯდომარეები, დიდი საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და მთელი რიგი კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

პლენუმმა განიხილა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებისადმი მიძღვნილი საკავშირო თათბირის მოთხოვნათა შესაბამისად მეუთორმეტედის კულტურის ამაღლების საქმეში.

ამასთან დაკავშირებით, რომ პლენუმის მონაწილეები წინა დღით გეცნენ ფილმ-მოხსენებას რესპუბლიკაში მიწათმოქმედების კულტურისა და მიწათსარგებლობის მდგომარეობის შესახებ, საკითხის განხილვა პირდაპირ კამათით დაიწყო. კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აპარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპაუნიძე, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ბ. დ. მგელაძე, ახალციხის ახარ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ჯ. უბილავა, ცხინვალის რაიონის ხეთაგუროვის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი ვ. ა. ხუბაევი, საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ო. ნაჯარაია, ჯოხის რაიონის ბერბუკის ხილბოსტნეულის საბჭოთა მეურნეობის პროგრამერი, სოციალისტური შრომის გმირი ა. ზ. ღოლიჯავაური, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრი ო. ა. ჯაბადარი, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ბ. ა. ფითლიძე, საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი ო. ვ. ბოკერია, ჭალკა ლაგოდეხის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ე. ა. დუაკაძოვი, ქარელის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ჯ. ხ. უნგიაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მაღალ ენერგიათა ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი ნ. ს. ამაღლობელი, საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ა. ბოსტიანი, რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავის“ გენერალური დირექტორი ვ. ბ. ლეონიძე, დმანისის რაიონის ეგრისის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომბინატის დირექტორი ჯ. ჯ. ორუჯევი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ვ. რ. ასათიანი, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი რ. ჰ. კოსეფლიძე.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება. მოწონებულია რესპუბლიკაში მიწათმოქმედების კულტურის შემდგომი ამაღლების ამოცანათა შესრულების ღონისძიებათა გეგმა.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა ს. ე. ხაბეიშვილი გათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან მუშობაში დაშვებული ნაკლოვანებების გამო.

სხვა საშუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით პლენუმმა ამერიკაკაკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების ყოფილი სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ამხ. ვ. ფ. პარხომენკი გათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან. მას გამოეცხადა მადლობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მუშობაში, რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მრავალი ამოცანის გადაწყვეტაში, მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად პლენუმმა აირჩია ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი ამხ. ნ. ა. ჰიმანავა, რომელიც მუშობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ამხ. ბ. ა. ანჩაბაძე, რომელიც მუშობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად აირჩია ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ამხ. ა. ა. პოჩინტენკოვი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატად პლენუმმა აირჩია ამხ. ბ. დ. მგელაძე — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე. (საქინფორმი).

მაქსიმალური ძალისხმევა წლის წარმატებული დამთავრებისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებული სხდომა

მიმდინარე წლის შვიდი თვის შედეგები მოწმობს, რომ რესპუბლიკის ეკონომიკის ინდუსტრიულ და აგრარულ სექტორში გარკვეულ წარმატებებთან ერთად სერიოზული ნაკლოვანებანიც გვაქვს. განვამტკიცოთ და განვავითაროთ წარმატებანი, ავამოქმედოთ ყველა არსებული რეზერვი, მივაღწიოთ მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, რათა წარმატებით შეესრულოთ მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმა, შევქმნათ სიმყარე მარადიანად ვიცხოვროთ უფრო წარმატებული მუშაობისათვის — ასეთი ამოცანა დასახა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულმა სხდომამ, რომელმაც პრინციპულობისა და გულახდილობის, რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებით დიდი დაინტერესების ნიშნით ჩაიარა.

სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. ნაკოლსკემ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ო. ი. ლოლაშვილმა.

გაფართოებული სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

რეზერვები გვაქვს, უკეთ უნდა გამოვიყენოთ ისინი

განახორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად, ვითარება სახალხო მეურნეობაში კვლავ უადგილად დაბალია, ხოლო ზოგიერთ დარგში უარესდება კიდეც, აღინიშნა სხდომაზე. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ვერ მოხერხდა დასახული ამოცანის გადაწყვეტა — შეგვნარჩუნებინა წლის პირველ სანეკვარში მიღწეული სარეწველო წარმოების ზრდის ტემპი. ფაქტობრივად გასული თვის მანძილზე იგი 0,3 პუნქტით შემცირდა. ვერ შესრულდა აგრეთვე სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ივლისის გეგმა. 98 რაიონიდან სარაჭოს მეურნეობის დააკლო 130 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია.

რეალური საფრთხე ექმნება წლიური გეგმის შესრულებას ისეთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის მიხედვით, როგორიც არის შრომის ნაყოფიერების ზრდა. ეს იმიტომ ხდება, რომ მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებში ჯერ კიდევ გრძელდება მანკიერი პრაქტიკა, როცა ზრდილ მუშაკთა რიცხვს წარმოშობს იმავე საგეგმო მოცულობის, ცალკეულ შემთხვევებში კი მისი შემცირების დროს.

შვიდი თვის შედეგების მიხედვით საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა პროდუქციის თვითღირებულება შეამცირეს 1 მილიონ 0,1 პროცენტით, 30-ზე მეტმა საწარმომ სულაც ვერ დაართვა თავი ვალდებულებებს, ხოლო ისეთებმა, როგორიც არის ნომინალურ ნაკოთბგადასამუშავებელი ქარხანა, საწარმოო გაერთიანებები „საქქვანახშირი“, „ენემბოკკო“, ფოთის ელექტრომანქანური მაძლიერებლების ქარხანა და სხვები, პროდუქციის გაძლიერებაც კი დაუშვეს. ამ მაჩვენებლის მიხედვით ვალდებულებანი ვერ შეასრულა რესპუბლიკის 16 ქალაქმა და რაიონმა.

არავითარი დადებითი ძვრა არ მომხდარა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში, მოგების გეგმების შესრულებაში. საქმე იქამდე მივიდა, რომ საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელს“ დაბალი ხარისხის გამო აუკრძალეს ელექტრომაბალეურების მთელი პარტიის რეალიზაცია. დაკარგული მოგების უმეტესი ნაწილი მოდის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, ხე-ტყისა და ხის დამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს, კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებზე.

წარმატების საწინდარი

სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და გაერთიანებების ზოგიერთმა ხელმძღვანელმა, აღინიშნა სხდომაზე, შეასუსტა ორგანიზატორული საქმიანობა, შეამცირა მომთხოვნელობა დაქვემდებარებული კოლექტივებისადმი სახელმწიფო დისციპლინის განუხრელი დაცვისათვის, დადგენილი გეგმების შესრულებისათვის, ყველგან ვერ მიაღწიეს მყარ შრომითის რიტმს, ნელა გაადაქნიან მეურნეობრიობის სტილსა და მეთოდებს.

წარმოების ეფექტიანობის ზრდის დიდ რეზერვებს შეიცავს ისეთი უმნიშვნელოვანესი სფერო, როგორიც არის ნომინალურ ენერგეტიკული გეგმის შესრულება სახელმწიფო ეკონომიკის ეკონომიკურ და აგრარულ სექტორში გარკვეულ წარმატებებთან ერთად სერიოზული ნაკლოვანებანიც გვაქვს. განვამტკიცოთ და განვავითაროთ წარმატებანი, ავამოქმედოთ ყველა არსებული რეზერვი, მივაღწიოთ მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, რათა წარმატებით შეესრულოთ მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმა, შევქმნათ სიმყარე მარადიანად ვიცხოვროთ უფრო წარმატებული მუშაობისათვის — ასეთი ამოცანა დასახა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულმა სხდომამ, რომელმაც პრინციპულობისა და გულახდილობის, რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებით დიდი დაინტერესების ნიშნით ჩაიარა.

სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. ნაკოლსკემ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ო. ი. ლოლაშვილმა.

გაფართოებული სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

მშვიდობა — ბავშვებს, მშვიდობა — პლანეტას

გურჯუფი (ყირიმის ოლქი), 16 აგვისტო. (საკადესი). ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა ბანაკი „არტეკი“ საზეიმოდ მორთულა. საბჭოეთის ნორჩმა ლენინელებმა და მათმა თანატოლებმა — 60 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა დღეს აქ გახსნეს საერთაშორისო თეატრალიზებული დღესასწაული „შეგიბრობენ მთელი პლანეტის ბავშვები!“. იგი მიეძღვნა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მოსკოვის XII მსოფლიო ფესტივალს, დიადი გამარჯვების 40 წლისთავსა და „არტეკის“ 60 წლისთავს.

არტეკელებს სტუმრად ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

მთავარ მოედანზე მას მხურვალედ მიესალმნენ ნორჩი მცხოვრებნი საკავშირო ჯანმრთელობის კერისა, სადაც ყველა პირობაა შექმნილი, რომ მათ კარგად დასვენებან და ისწავლონ.

ფრთათეთრა თოლიებივით გაწლაგებულან შავი ზღვის სანაპიროზე ვრცელი ნათელი კორპუსები, სტადიონი, სპორტული კომპლექსები. ბავშვების განკარგულებაშია ეკითხმწყობილი პლაჟები, მრავალფეროვანი სათამაშო მოედნები, პიონერთა სასახლე, კოსმონავტიკის მუზეუმი, რომელიც ი. ა. გაგარინის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა, პიონერული სწავლების სახლი, ავტობაზა, რადიოსადგური და საკუთარი ნავსადგურიც თავისი ფლოტით. ძნელია დაიჯერო, რომ პიონერული რესპუბლიკა, რომლის დიდება მთელ მსოფლიოს მოედო, რამდენიმე ბრეზნევის კარვით დაიწყო.

თავიანთ ინტერნაციონალური ბანაკის იუბილესათვის არტეკელებმა დღეს საზეიმოდ მიიღეს ლენინის მემორიალი.

ვ. ი. ლენინის ძეგლი ყვავილებით შეამკო მ. ს. გორბაჩოვმა. მ. ს. გორბაჩოვმა ჭიკთხა ბავშვებს, თუ რა წარმატებები აქვთ სწავლაში, როგორია მათი ინტერესები, უსურვა კარგი დასვენება.

სტადიონის მოედანზე გამოდიან ორკესტრები. ჟღერს საზეიმო მარში, რომელიც იუწყება ბავშვთა საერთაშორისო დღესასწაულის გახსნას. ბავშვებმა ყვავილები მიართვეს მ. ს. გორბაჩოვს.

ნორჩები მხურვალედ და დიდხანს უკრავენ ტაშს. ისინი ხმამაღლა გაიძახიან: „მადლობა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას ჩვენი ბედნიერი ბავშვობისათვის!“, „მშვიდობა!“, „შეგიბრობა!“, „არტეკი!“.

სტადიონის ტრიბუნაზე აინთო ასობით პატარა წითელი ფარანი: ბავშვები პატიჟს მიაგებენ იმათ ხსოვნას, ვინც ბედნიერ მომავალს შესწირა სიცოცხლე გასული ომის წლებში. ეკრანზეა დოკუმენტური ქრონიკის კინოკადრები, რომლებიც ასახავენ მშვიდობისათვის საბჭოთა სახელმწიფოს თანამიდგეგრეულ ბრძოლას. სხვადასხვა ქვეყნის ტანსაცმელში გამოწყობილი გოგონები და ბიჭუნები, რომლებსაც ხელთ უპყრიათ ლოზუნგები, პლაკატები და ნახატები, აცხადებ სტადიონის მთელ სივრცეს. გაისმის სიმღერების კომპოზიცია ბავშვთა ხაკრების გუნდის შესრულებით. სხვადასხვა ხალხების ბავშვები ერთხმად ასრულებენ საყვარელ სიმღერას „დე, მუდამ იყოს ზზე!“. სტადიონის თავზე ცაში გამოჩნდა დიდი ოქროსფერი და ხუთი ნაირფერი პიერბუტონი, რომლებიც სამპოლუტად გამოხატავენ მზესა და მშვიდობას ყველა კონტინენტისათვის. მოედანზე კი საფეტეელო კატუშა და ოლიმპიური დათუნია ჩაებნენ მსოფლიოს ხალხების ზღარბების გმირთა მხიარულ ფერხულში.

რამდენიმე საათს გასტანა სიხარულთან, ბედნიერებით აღსავსე და ბავშვების ღიმილით გაცისკროვნებულმა ამ დღესასწაულმა.

სურათზე: მ. ს. გორბაჩოვი არტეკელებთან.

საკადრ.-საინფორმის ტელეფოტო.

ორბიტაზე მუშაობა

ფრუნზე მართვის ცენტრი, 16 აგვისტო. (საკადესი). საბჭოთა კოსმონავტები ვლადიმერ ჯანიბეკოვი და ვიქტორ სავინიხი წარმატებით განაგრძობენ დაგეგმილ მუშაობას „სალუტ-7“ — „სოიუზ-13“ — „კოსმოს-1669“ ორბიტულ კომპლექსში. წინა დღეებში მათ შეასრულეს გეოფიზიკური გამოკვლევების ერიელი პროგრამა სხვადასხვაგვარი სამეცნიერო და სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტისათვის.

ეკიპაჟმა მონაწილეობა მიიღო „გეოფიზ—85“ კომპლექსური ექსპერიმენტის მეორე ეტაპში, რომლის მიზანია დედამიწის ბუნებრივი რესურსების კვლევის მეთოდებისა და საშუალებების შემდგომი სრულყოფა და გარემოს მეცნიერული, ეკონომიკური დროს მიმდინარეობდა, კერძოდ, დასავლეთ აზერბაიჯანის ნავთობგაზიანი რაიონებისა და კასპიის ზღვის სანაპირო ზონის სპექტრომეტრირება, წარმოებდა სასოფლო-სამეურნეო საკარგულების ფოტოგადაღება დიდი კავკასიონის საბჭრეთ ფერდობის ფარგლებში, განისაზღვრებოდა კავკასია-კასპიის რეგიონის ატმოსფეროს ოპტიკური მახასიათებლები.

იუნესკოს საერთაშორისო პროგრამის „ადამიანი და ბიოსფეროს“ ფარგლებში კოსმონავტებმა შეასრულეს საბჭოთა კავშირის ტერტორიიზე ბიოსფერული ნაკრძალების დაკვირვებათა და გადაღებათა მორგი სერია. ეს კვლევა მიზნად ისახავს თანამედროვეობის ერთ-ერთი ისეთი დიფერენციალური ამოცანის გადაწყვეტას, როგორიც არის ეკოლოგიური პროგნოზირება, ბუნების დაცვა და მიწის რაციონალური გამოყენება.

დღეს კომპლექსის ეკიპაჟი ახორციელებს ექსპერიმენტს „ბუმბათს“, რომლის მიზანია შეიფასოს დიდ სმრეწველო ცენტრების თავზე ატმოსფეროს გაჭუჭყიანება ფოტოგრაფიული, სპექტრომეტრიული და რადიომეტრიული ანალიტიკის საშუალებით. ექსპერიმენტი სრულდება ქალაქ ზაპოროჟიეს რაიონში.

დღის განმავლობაში ასტროფიზიკური გამოკვლევების პროგრამით იწარმოებს დედამიწისაკენ მავალი კოსმოსურ სივრცეში მაღალი ენერგიის ნაწილაკების გენერაციის მექანიზმების შესწავლა.

კოსმონავტები ვლადიმერ ჯანიბეკოვი და ვიქტორ სავინიხი ჯანმრთელად არიან, თავს კარგად გრძნობენ. ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

◆ ასე მალლდება საბჭოთა ადამიანის მატერიალური კეთილდღეობა.

(მე-2 გვ.).

◆ ჯანსულ ჩარკვიანის ახალი ლექსები.

(მე-3 გვ.).

◆ ინდური ქედი ილიას სახლ-მუზეუმში — „კომუნისტის“ კუბლიკაციები.

(მე-3 გვ.).

◆ იაკობიანი გამოუშვეს ქართული ნაფლის კონცერტიან.

(მე-4 გვ.).

ფასიანი ნომერი

ნოემბერი

სასკოლო მშენებლობა დამკვრელური უბანია

დრო ცოტაა, გასაკეთებელი — ბევრი

რუსთავი, მე-16 მიკრორაიონში 480 მოსწავლისათვის შენდება ახალი პროფტექნიკური სასწავლებლის კომპლექსი. გაერთიანება „აზოტის“ ბაზაზე შექმნილ ამ ახალ სასწავლებელს ექნება ხუთსართულიანი სასწავლო კორპუსი, საყოფაცხოვრებო ბლოკი, ორი სასპორტო დარბაზი და სასადილო, ხუთსართულიანი საერთო საცხოვრებელი და სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების შენობა.

ცოტა დრო დარჩა 1 სექტემბრამდე. წესით აქ ახალ სასწავლო წელს პირველი ზარი უნდა დაირეკოს, მაგრამ ვითომ გამართლდება მოლოდინი?

შეხედავ მშენებლობას და უმალვე იფიქრებ, წელს კი არა, ნუტარს, გაისისთვის მოესწროსო. რამდენიმე დღის წინათ ხუთსართულიან სასწავლო კორპუსში, რომლის აშენებასაც ყველაზე მეტად ჩქარობენ, მეოთხე სართულის მოტაჟს შესდგომოდნენ, მეორე და მესამე სართულებზე კი ტიხრები ამოჰკვადათ და ლესავდნენ, პირველ სართულზე კარ-ფანჯრებს სვამდნენ.

306-ადგილიანი საერთო საცხოვრებელი უკვე მესამე წელია შენდება და აქამდე ვერ დაადგა საშვეელი. მხოლოდ ერთი სადარბაზოა აშენებული მოლიანად, მეორე კი — მე-4 სართულამდე. უარესი მდგომარეობაა საყოფაცხოვრებო ბლოკში. აქ გადასულიყო ჯერ არ დაუწყიათ. უკეთესად არც სახელოსნოები გამოიყურება.

კომპლექსს ამიერკავკასიის მეტალურგმშენის № 1 ტრესტი აშენებს. ამ ტრესტის მოიჯარე ორგანიზაცია № 8 სამშართველოა, რომლის უფროსის გვიდ მაზმაშვილის აზრით, შშენებლობა იმისგან შეფერხდა, რომ ობიექტს ყოველთვის არ ექცეოდა სათანადო ყურადღება, რამაც დღეისათვის ასე საალბათოდ გახადა მისი საქმე, შშენებლებს ცუდად ამარაგებდნენ რკინა-ბეტონის კონსტრუქციებითა და მექანიზმებით, არ ეყოფნით მუშახელი. თავდადგა გათვალისწინებული იყო საერთო საცხოვრებლის აგურით აშენება, მაგრამ ისე გაუანელდათ აგურისა და კალატონების მოგვიანებით. ეს ამბავი ბოლოს — № 3-ს.

№ 4 სამმართველოს უფროსის თარაშ ელიაკის სიტყვით, სასწავლო კორპუსის შშენებლობა მხოლოდ ივლისში დაწყებული (ივნისში ავტობაზა, რადიოსადგური და საკუთარი ნავსადგურიც თავისი ფლოტით. ძნელია დაიჯერო, რომ პიონერული რესპუბლიკა, რომლის დიდება მთელ მსოფლიოს მოედო, რამდენიმე ბრეზნევის კარვით დაიწყო.

ეკონომიკა ბრძოლის გაძლიერებით ხუთწლედის მანძილზე სულ ცოტა 120 ტონა სობობსა და 50 ათას კილოვატსაათ ელექტროენერგიას დაზოგავენ, რაც შეიზლება ცენტრალიზებული ტვირთზიდვის წილს, მას გეგმასთან შედარებით 2 პროცენტით გაზრდიან, და ეს ცოტა როდია.

ყურადღების ცენტრში მოექცევა მუშაობის ბრიგადული ფორმის სრულყოფა, სამეურნეო ანგარიშზე შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გათვალისწინებით ხუთწლედში 25 ბრიგადა გადავა.

ცხადია, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში წამყვანი როლი ადამიანის ფაქტორს მიეკუთვნება და ამიტომ გაერთიანებაში ვალდებულებით 500 მძღოლი და 200 შემკეთებელი ათმაღლებს კვალიფიკაციას.

ქიათურის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების კოლეგიებმა საწარმოს საერთო კრებაზე მიიღო ეს ვალდებულება და სხოვა რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, ავტოტრანსპორტისა და გზატკეცილების პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს ნაკისრი ვალდებულებანი ნაოფიცალს საწარმოს საბალანსო მოგებას შემადგენელ ნაწილად და პირობა დადო, რომ სიტყვას არ ვატეხს.

ახლა გაერთიანებაში მრავალი ღონისძიება ხორციელდება მიმდინარე წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის გეგმებისა და ვალდებულებების ეადამდე ეადამდე შესრულებისათვის: ავტოტრანსპორტელები შრომობენ ღეეზეთ: სკკპ XXVII ყრილობის — 27 დამკვრელური ვაჭარ მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმას ავტოტრანსპორტელები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 68 წლისთავისთვის — 7 ნოემბერს, ხოლო მომავალი წლისას — სკკპ XXVII ყრილობის ეახსნის დღეს — 25 თებერვალს შეასრულებენ.

შ. ამაშუკელი.

მოსკოვის ფესტივალის შედეგები

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალმა ნათელი და დაუვიწყარი ფურცელი ჩაწერა საერთაშორისო საფესტივალო მოძრაობის ისტორიაში. მოსკოვის ფესტივალი, რომელიც მიმდინარეობდა ლოზუნგით „ანტიიმპერიალისტური სოლიდარობის, მშვიდობისა და მეგობრობისათვის", დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენად იქცა. 14 აგვისტოს საბოლოო სხდომაზე ამ დიდი მასშტაბის საერთაშორისო ღონისძიების მომზადებისა და მოწყობისათვის მუშაობის შედეგები შეაჯამა ფესტივალის საბჭოთა მოსამზადებელმა კომიტეტმა.

— ფესტივალმა წარმატებით ჩაიარა, თქვა სხდომაზე გამოსვლისას საბჭოთა მოსამზადებელი კომიტეტის თავმჯდომარემ, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. მ. მიშინმა, — მან საგრძნობი კვალი დატოვა არა მარტო მის მონაწილეთა, არამედ პლანეტის მთელი პროგრესული ახალგაზრდობის გულსა და გონებაში, იქცა ახალგაზრდობის საერთაშორისო წლის ცენტრალურ მოვლენად.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ფესტივალის მუშაობაში მონაწილეობდნენ 157 ქვეყნისა და დასავლეთ ბერლინის 20 ათასზე მეტი დელეგატი, 86 საერთაშორისო და რეგიონალური ახალგაზრდათა და სტუდენტთა ორგანიზაციის წარმომადგენლები, 200-მდე საპატიო სტუმარი, რომელთა შორის იყვნენ საერთაშორისო კომუნისტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეები, საერთაშორისო დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ცნობილი კულტურის მოღვაწეები.

წარმატებით შესრულდა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალის დიდი პროგრამა, რომელმაც საერთაშორისო საზოგადოებრიობის ფართო ყურადღება მიიპყრო. (საკდესი).

უცხოეთში
ფაქტები მოვლენები
17 აგვისტო ● საკდესი იუწყება

შევაჩეროთ ბირთვული შეიარაღების კონვეიერები

საერთაშორისო საზოგადოებრიობა საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას — ცალმხრივი წესით მორატორიუმი დაუწესოს ყოველგვარ ბირთვულ აფეთქებას, მიიჩნევს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარეობის, მისი იმ სურვილის დამაჯერებელ დადასტურებად, რომ შეაჩეროს ბირთვული შეიარაღების კონვეიერები, განამტკიცოს მშვიდობა და ხალხთა უშიშროება. მსოფლიოში კვლავ მკაცრად აკრიტიკებენ ამერიკის შეერთებული შტატების მისწრაფებას თავი აარიდოს საბჭოთა მიმართვაზე დადებით პასუხს.

საბჭოთა კავშირის ახალ სამშვიდობო ღონისძიებას, წერს ბულგარული „რაბოტნიჩესკო დელო", მხურვალე მოწონებით და დიდი იმედებით შეხვდნენ მსოფლიო საზოგადოებრიობა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოების პოლიტიკური წრეების მრავალი თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომლებმაც იგი საბჭოთა კავშირის კეთილი პოლიტიკური ნებისა და თანამიმდევრული მშვიდობისმოყვარეობის გამოვლინებად მიიჩნიეს. საბჭოთა ინიციატივაზე ოფიციალური ვაშინგტონის პასუხს ჯერ კიდევ ელიან. თუ იგი უარყოფითი იქნება, ამგვარი გადაწყვეტილება დაადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირისაგან განსხვავებით ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკური კურსი კვლავ მიზნად ისახავს კონფრონტაციას, არარეალისტური მიზნების, სამხედრო უპირატესობის მიღწევას. ვერავითარი პროპაგანდისტული ხრიკები ვერ დაუმალავს კაცობრიობას, რომ ეს კურსი ნაკარნახებია ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ინტერესებით, ვაშინგტონის იმპერიული ამბიციებით.

საბჭოთა კავშირის კონსტრუქციული წინადადება, აღნიშნავს უნგრული „ნეპსაბადშაგი", კარგ შესაძლებლობას უქმნის ბირთვული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ მოლაპარაკებაზე პროგრესის მიღწევას. სამწუხაროდ, ოფიციალურმა ვაშინგტონმა ჯერჯერობით ნეგატიური რეაგირება მოახდინა საბჭოთა წინადადებაზე. საბჭოთა კავშირი დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ ვაშინგტონში მაშინ იწყებენ მსჯელობას „ბირთვული ჩამორჩენის" შესახებ, როცა სურთ მიაღწიონ სამხედრო უპირატესობას, როცა ნამდვილად არ უნ-...

...ანალიზს, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ წამოაყენა იმ მიზნით, რომ გაემართლებინა თავისი უარი შეერთებოდა სსრ კავშირის ინიციატივას ყველა ბირთვული აფეთქების შეწყვეტის თაობაზე. ვაშინგტონში ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა კვლავ მოუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს განაახლონ მოლაპარაკება ბირთვული იარაღის გამოცდის სრული აკრძალვის შესახებ. აღნიშნულია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პასუხი, როგორც ამერიკის პრესა წერს, არ შეიცავს არავითარ მუქარას ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ, კონსტრუქციული სულისკვეთებით არის გამსჭვალული და უფრო ვაშინგტონის პოზიციის გამო წუხილს გამოხატავს. მრავალი მიმომხილველი ამ პასუხს განიხილავს საბჭოთა კავშირ-ამერიკის მომავალი უმაღლესი დონის შეხვედრის თვალსაზრისით. ამასთან ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი აცხადებს, თითქოს აუცილებელი იყოს ახალი რაკეტების შემუშავება და კოსმოსში იარაღის განლაგება, მაშინ როცა საბჭოთა ხელმძღვანელი დაბეჯითებით მოითხოვს ისეთი დაუყოვნებლივი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც უკუაქცევენ გამალებულ შეიარაღებას. აღიარებენ, რომ ადმინისტრაცია ცდილობს მოხსნას ეს წინადადება. თუმცა თეთრი სახლის წარმომადგენელმა სცადა დაეკნინებინა საბჭოთა წინადადებების მნიშვნელობა, მაგრამ ჟურნალისტების აურაცხელი კითხვების გამო იძულებული იყო შეჰპირებოდა მათ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პასუხს...

მორატორიუმი — რეალურ შესაძლებლობას უქმნის ბირთვული არსენალების ზრდის შეწყვეტას. მან იმედი გამოთქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია გამოიყენებს ამ შესაძლებლობას. სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის I ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებაზე ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ყოფილმა იურიდიულმა მრჩეველმა **ჯ. რაინლენდერმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბირთვული გამოცდების სრული და საყოველთაო აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების დადება, რასაც მიზნად ისახავს საბჭოთა ინიციატივა, ბოლოს მოუღებს იმ ბირთვული დანადგარების შექმნის სამუშაოებს, რომლებიც ნავარაუდებია გამოიყენონ „კოსმოსური ომების" იმ პროგრამისათვის გათვალისწინებულ დამკვრელ შეიარაღებაში, რომლის წინააღმდეგაც ილაშქრებს ამერიკელთა უმრავლესობა.

სსრ კავშირი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა შექმნას კეთილნაყოფიერი საერთაშორისო ატმოსფერო, აღკვეთოს ბირთვული კატასტროფის მზარდი საშიშროება, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ჯ. ჯექსონმა.** მისი თანამიმდევრული მშვიდობისმოყვარული კურსი მკვეთრად განსხვავდება ამერიკის ადმინისტრაციის მილიტარისტული პოლიტიკისაგან, რომელიც საფრთხეს უქმნის თვით კაცობრიობის არსებობას. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა უნდა გადასინჯონ თავიანთი ნაჩქარევი ნეგატიური რეაქცია და პოზიტიური სულისკვეთებით გასცენ პასუხი სსრ კავშირის დიდმნიშვნელოვან ინიციატივას. ამისათვის საჭიროა გაიმსჭვალონ მსოფლიოს ბედისათვის პასუხისმგებლობის...

ქვეყნების მთავრობებს და, უწინარესად, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მოუწოდა მიიღონ ანალოგიური გადაწყვეტილებანი სრული და საყოველთაო განიარაღების ინტერესებისათვის.

იტალიის „უნიტა" ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირის მიერ შემოღებული მორატორიუმი დიდმნიშვნელოვანი ინიციატივაა, რომელსაც ანალოგიური პასუხი უნდა გასცეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

იაპონური **„იომიური"** სსრ კავშირის იმ საგარეო-პოლიტიკური აქციებიდან, რომლებმაც მსოფლიოში უდიდესი რეზონანსი გამოიწვიეს, ყველაზე წარმატებულთა შორის ასახელებს ჰიროსიმის ატომური დაბომბვის 40 წლისთავის წელს ბირთვული გამოცდების ცალმხრივი აკრძალვის გამოცხადებას, რეიგანის „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის" როგორც განიარაღების საკითხებზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის მორიგების მიღწევის ძირითადი დაბრკოლების საშიშროების დამაჯერებელ პროპაგანდას. „ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია, — წერს გაზეთი, — ახლა მეტად შეშფოთებულია იმის გამო, რომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი მთლიანად საბჭოთა კავშირის მხარეზე აღმოჩნდება, რომელიც მიმართავს მასირებულ ძალისხმევას, რათა გამოკვეთოს მშვიდობისადმი თავისი ერთგულება".

საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად იცავს მშვიდობის საქმეს, აყენებს კონსტრუქციულ ინიციატივებს, რათა შეანელოს საერთაშორისო დაძაბულობა, რასაც დამაჯერებლად მოწმობს მისი გადაწყვეტილება ცალმხრივი მორატორიუმის შესახებ, განაცხადა მალაგასიელ რევოლუციურ მშრომელთა პროფკავშირების ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **პ. რაზემანანძარამ.** მაგრამ ოფიციალური ვაშინგტონი მოგონილი საბაბით ჯერჯერობით უარს ამბობს საბჭოთა წინადადებაზე. რაც უნდა ილაპარაკონ ოკეანის გაღმა „დიალოგისადმი მისწრაფების" შესახებ, თეთრი სახლის გამა-...

...თხვევზე მ. ს. გორბაჩოვის პასუხის დაწვრილებით შინაარსს და აღნიშნავენ, რომ ეს პასუხი შეიცავს იმ ძირითადი თეზისების დაწვრილებით კრიტიკულ...

...ველმა თქვა, რომ საბჭოთა წინადადება — სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შემოიღონ ყოველგვარი ბირთვული აფეთქების ორმხრივი...

...რატთა საერთაშორისო ასოციაცია, კარგ საფუძველს შეუქმნის განიარაღების პროცესის განვითარებას. ასოციაციამ ბირთვული იარაღის მქონე სხვა...

...ბა მოსდევს, და მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის ღონისძიებებს ამ საშიშროების აღკვეთისათვის.

მეგობრობის მიტინგი

16 აგვისტოს საბჭოთა კავშირის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ჰ. ა. ალიევის მეთაურობით იმოგზაურა ნამფხოში — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე დიდ სამრეწველო და სანავსადგურო ქალაქში. ამ ქალაქის სტადიონზე გაიმართა კორეა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მასობრივი მიტინგი.

საბჭოთა კავშირმა გადამწყვეტი წვლილი შეიტანა იაპონიის მილიტარიზმის განადგურებასა და კორეის განთავისუფლებაში, თქვა თავის სიტყვაში კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, კორეის შრომის პარტიის კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა, ნამფხოს სახალხო კომიტეტის თავმჯდომარემ ლი გინ მომ.

კორეელი ხალხი, აღნიშნა მან, აქტიურად უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ ინიციატივებს. კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში განსაკუთრებით მიესალმებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებას საბჭოთა კავშირის მიერ ცალმხრივი წესით ყოველნაირი ბირთვული აფეთქების შეწყვეტის შესახებ.

მიტინგზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ...

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

კომუნალური მეურნეობის ობიექტების მშენებლობის დაჩქარების მიზნით

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ განიხილა წლის პირველ ნახევარში კომუნალური მეურნეობის ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობის საკითხი. საქმის შესწავლამ ცხადყო, რომ აღნიშნულ პერიოდში ამ ობიექტების მშენებლობაზე ათვისებულია 53,2 მილიონი მანეთი, წლიური გეგმით კი გათვალისწინებულია 123,2 მილიონი მანეთი (43 პროცენტი). კაპიტალდაბანდებათა ათვისებამ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით შეადგინა 108 პროცენტი.

მაგრამ ობიექტების ამოქმედების გეგმა მხოლოდ 60 პროცენტით შესრულდა. მთელმა რიგმა სამინისტროებმა და უწყებებმა ვერ შეასრულეს კაპიტალურ დაბანდებათა ათვისებისა და ძირითადი ფონდებისა და სიმძლავრეების ამოქმედების გეგმა ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებში.

მაგალითად, კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში შესრულდა შესაბამისად 93 და 75 პროცენტით. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა აითვისა კაპიტალურ დაბანდებათა წლიური ლიმიტის მხოლოდ 34 პროცენტი, ავტოტრანსპორტის სამინისტრომ — 26 პროცენტი, გაზის სახელმწიფო კომიტეტმა — 41 პროცენტი, საქმთავარენერგომ — 42 პროცენტი, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ — 14 პროცენტი, ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ — 7 პროცენტი.

მაშინ, როცა გეგმით გათვალისწინებულია, რომ ძირითადი ფონდები უნდა ამოქმედდეს 28,2 მილიონი მანეთის მოცულობით, მწყობრში ჩადგა მხოლოდ 16,9 მილიონი მანეთის ღირებულების ობიექტები. ობიექტების ამოქმედების გეგმა ვერ შეასრულეს აფხაზეთის ასს რესპუბლიკისა და აჭარის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებმა, თბილისისა და ქუთაისის საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა, ავტოტრანსპორტის სამინისტრომ, ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ.

საექსპლოატაციოდ არ გადაუციათ 47-დან 33 ობიექტი, რომელთა ამოქმედებაც გათვალისწინებული იყო წლის პირველ ნახევარში, მათ შორის 19 გასული წლიდან გადმოვიდა.

საკანალიზაციო საწმენდ ნაგებობათა მშენებლობის გეგმა, რომელიც გათვალისწინებულია შავი და კასპიის ზღვების აუზების გაჭუჭყიანების თავიდან აცილების შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებით, შესრულდა 105 პროცენტით. ამავე დროს არ შესრულებულა 74 ათასი მანეთის სამშენებლო სამუშაოები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ აფხაზეთის ასს რესპუბლიკისა და აჭარის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოების, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, საბინაო კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს სპეციალური ტრანსპორტის სახელმწიფო კომიტეტის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის, ავტოტრანსპორტის სამინისტროს, ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, გაზის სახელმწიფო კომიტეტის, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, საქმთავარენერგოს, თბილისისა და ქუთაისის საქალაქო საბჭოების აღმასკომების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ დამაკმაყოფილებლად არ მიმდინარეობს კომუნალური მეურნეობის ობიექტების მშენებლობა, განსაკუთრებით თბომომარაგების ნაგებობათა მშენებლობა და დაავალა მათ შეიმუშაონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ჩამორჩენის დასაძლევად, რომელიც დაუშვეს კაპიტალურ დაბანდებათა ათვისებაში და აუცილებლად გადასცენ საექსპლოატაციოდ მიმდინარე წლის მესამე კვარტალის დამლევს წლის პირველ ნახევარში აუმოქმედებელი ობიექტები.

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილის ამხ. ყურაშვილის ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ მას არ განუხორციელებია ქმედითი ღონისძიებანი გარდაბნის რაიონის სოფელ ვაზიანში ქლორსარიგებელი სადგურის მშენებლობაზე დაშვებული ჩამორჩენის აღსაკვეთად. იგი გააფრთხილეს, რომ პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრება ამ ობიექტის მშენებლობის მდგომარეობისათვის.

საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე ამხ. გაბაშვილი, საქართველოს სსრ კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. კოკაია, „საქპიდროენერგომშენის" სამრეწველო საშენ მასალათა გაერთიანების მთავარი ინჟინერი ამხ. შალამბერიძე, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის" უფროსის მოადგილე ამხ. ავეტისოვი, „სამხრეთ-აღმოსავლეთმონტაჟავტომატიკის" სამმართველოს უფროსი ამხ. გოგიჩაშვილი გააფრთხილეს, რომ მათ შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა ქალაქების თბილისისა და რუსთავის მთავარი კოლექტორისა და კანალიზაციის საწმენდ ნაგებობათა დადგენილ ვადაში ამოქმედებისათვის.

დასახულია სხვა კონკრეტული ღონისძიებანიც, რომელთა მიზანია უზრუნველყოს კომუნალური მეურნეობის ობიექტების ამოქმედების ყველა ამოცანის უთუო შესრულება.

(საქინფორმი).

გრძელვადიანი კრედიტები ინდივიდუალური სახლების მშენებლობისათვის

სსრ კავშირის სახბანკის გამგეობამ საქართველოს სს რესპუბლიკას გამოუყო 18 მილიონი მანეთი გრძელვადიანი კრედიტები ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და საეზოო შენობების მშენებლობისათვის სრული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ოდენობით, ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის, ძროხების შესყიდვის, ბაღის სახლების მშენებლობისა და მებაღეობის ამხანაგობათა ბაღის ნაკვეთების კეთილმოწყობისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის, რესპუბლიკის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს კანტორის წინადადება დამატებითი კრედიტების განაწილების შესახებ.

...ლი სხვა ფონდების სახსრების ხარჯზე დაფარონ ბანკის კრედიტის დავალიანება მუშაკებისა — ახალგაზრდული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისა, რომლებმაც საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში იმუშავეს სულ ცოტა ხუთი წელი. ახალდაქორწინებულებისა, რომლებმაც იმუშავეს სულ ცოტა 2 წელი, შემდეგი ოდენობით:

ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში, უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში, რსფსრ...

...ნისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება ამ საკითხზე.

დადგენილებით გათვალისწინებულია, რომ აღნიშნული დებულების შესაბამისად გაანგარიშებული პენსია (მოხუცებულობის, I და II ჯგუფის ინვალიდობისა და მარჩენლის დაკარგვის გამო) თვეში არა უმეტეს 60 მანეთის ოდენობით, მისი დანიშვნიდან 10 წლის შემდეგ იზრდება შემოსავლის 1 პროცენტით, საიდანაც იგი გაანგარიშებულია, პენსიის დანიშვნიდან გასული ყოველი სრული წლისათვის, არა უმეტეს 60 მანეთის ოდენობით. დადგენილი...

ეს ოფიციალური მასალები, მკითხველო, იმის დასტურია, თუ როგორ ხორციელდება ცხოვრებაში სკკპ XXVI ყრილობის სოციალური პროგრამა, როგორ მაღლდება საბჭოთა ადამიანის მატერიალური კეთილდღეობა.

ახალგაზრდობისათვის საბინაო მშენებლობის შესახებ

შრომის ვეტერანების პენსიების გადიდება

ზრუნვა მედიცინის მუშაკებისათვის

ინდოეთი

საბჭოთა დელეგაციის მიღება

დელი. ინდოეთის ვიცე-პრეზიდენტმა რ. ვენკატარამანმა მიიღო აქ მყოფი საბჭოთა საზოგადოებრიობის დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის ტ. ხ. კოშოევის მეთაურობით. დელეგაცია მონაწილეობს ინდოეთში მიმდინარე საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის ერთთვიურში.

გულთბილი მეგობრული საუბრის დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ყველა მიმართულებით წარმატებით ვითარდება ორი ქვეყნის ურთიერთობა და ხელსაყრელი თანამშრომლობა. საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრული კავშირურთიერთობის განვითარებას ახალი იმპულსი მისცა საბჭოთა კავშირში ინდოეთის პრემიერ-მინისტრის...

ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი

ფოტოინფორმაცია

19 აგვისტოს სრულდება ვიეტნამში აგვისტოს რევოლუციის 40 წლისთავი

წელს თავის 10 წლისთავს აღნიშნავს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სამეცნიერო კვლევის ცენტრი. იგი აერთიანებს ათზე მეტ ინსტიტუტს, რომლებიც მუშაობენ ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა დარგში, კოორდინაციას უწევს რესპუბლიკაში კვლევის სახელმწიფო პროგრამებს.

სოციალისტურ ვიეტნამში შექმნილია სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების განშტოებული ქსელი. სახელმწიფო დიდად ზრუნავს პატარა მოქალაქეებზე.

სურათებზე: ერთ-ერთ სასელექციო სადგურში; ჰანოის 8 მარტის სახელობის ფაბრიკასთან არსებული საბავშვო ბაგების აღსაზრდელები; მებადურები ბრუნდებიან.

საკდესის ფოტოქრონიკა.

აღზრდა — უპირველესი საზრუნავი

თბილისის ლენინისა და ზესტაფონის რაიონების ...

...ვეჯო ფაბრიკის დირექტორი ა. მეტრეველი, ...

შრომითი კოლექტივების, მთელი საზოგადოების ...

ამ მიმართულებით უნდა წარვმართოთ პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, საბჭოების, ადმინისტრაციის ...

ორი ეტიუდი ციკლიდან: „ჩემი ძველი ოდა"

სიყვარულის ძაფი

გავიარეთ გვირაბი, მატარებელმა სვლას უკლო და მერე ღრჭიალით დადგა.

— აბა, წიფაში ვინ ჩადის? — აცხადებს გამცილებელი და თან წვალებით, კრუსუნით კეტავს ჩამოწეულ ფანჯარას. — ნუ აღებთ, ნუ აღებთ... იცოდეთ გამოვრთავ კონდიციონერს!..

გამცილებელს ყურს არავინ უგდებს, ახალგაზრდები გასასვლელში დგანან, ოხუნჯობით კლავენ დროს და თან რიგრიგობით იგრილებენ პირისახეს ფანჯრიდან მონაბერი ნიავით.

უკვე საღამო ხანია. მთებს იისფერი გადაუკრავს. მუხა, რცხილა და წაბლი ჭარბობს ტყის სიხშირეში. ზედ ლიანდაგის პირზე ჩხერიმელა მიედინება. მოდიდებულა ერთი ფიორა მდინარე, თხმელით დაფარულ ნაპირს ეხეთქება და თავ-პირს იმტვრევს სიპ კლდეებზე.

— ნახე, ნახე... მთლად ფელამუშის ფერი არა აქვს?!.. — ხმამაღლა ამბობს მაღალი, სათვალიანი ბიჭი და სიგარეტის ნამწვს ფანჯარაში ისვრის. — ეტყობა, ახალი ნაწვიმარია...

— მაგარი ხარ, ლევან!.. რამ მოგაგონა ფელამუში ამ გაგანია ზაფხულში! — სიცილით ეპასუხება მომცრო ტანის, მოჭიდავესავით ჩადგმული თანამგზავრი და ბავშვიან ქალს გზას უთმობს, ფანჯარას ზურგით ეკვრის, მერე კი ისევ სათვალიანისკენ გადააქვს ყურადღება.

— ამას რა მოგონება უნდა, ბიჭო... მოგონება და შედარება ის არის, გალაკტიონს რომ აქვს, შეხედე, შეხედე იმ მთებს: „გინახავთ? თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის, ეს ჩემი სამშობლოს მთებია"...

— რა იცი, შეიძლება ისიც ჩვენსავით წიფაში იდგა იმ დროს, — ვითომ ოხუნჯობს მომცრო ტანის.

— რა მნიშვნელობა აქვს, სად იდგა...

რაც თბილისიდან გამოვედით, ეს ბიჭები ფანჯარას არ მოსცილებიან. სათვალიანი, ეტყობა, ლიტერატორია, ერთთავად პოეზიაზე ესაუბრება ამხანაგს და ახლომახლო მყოფთა ყურადღებასაც იქცევს ხმამაღალი ლაპარაკით, გადაჰყოფს ხოლმე თავს ფანჯარაში, ამოჩემებულ მელოდიას ჩაიღიღინებს, მერე ისევ ამხანაგს მოხედავს და უკვე მერამდენედ, საგულდაგულოდ ისწორებს ნიავისაგან აშლილ შეთხელებულ ქოჩორს.

— შეხედე ერთი, რა მარჯვედ თოხნიან! — ამბობს სათვალიანი.

— აბა, სადა?..

— აი, ოდის ქვემოთ — ყანაში!..

ოდა ფერდობის თავში დგას, სამი მხრიდან ტყე ესაზღვრება, წინიდან კი მზის გულზე გაშლილ მცირე ბოსტანს, ვენახსა და სიმინდის ყანას გადაჰყურებს.

ყანაში ოთხნი მუშაობენ. ის ახალგაზრდა კაცი, ალბათ, ოჯახის უფროსია. გვერდით პატარა ბიჭები უდგანან. შარვლები მუხლებამდე დაუკოტავებიათ ბიჭებს და ცდილობენ მამას არ ჩამორჩნენ. ერთ-ორჯერ მატარებელს მოხედეს, ფაფანაკები დაგვიქნიეს და ისევ საქმეს მიუბრუნდნენ — თოხები მოიმარჯვეს, გულდაგულ შეუტიეს ფერდობზე დაკიდებულ სიმინდის ყანას.

— ერთი, ეს გამაგებინე, თუ ძმა ხარ, — ამბობს მომცრო ტანის, — იქნებ შენ იცოდე: მართლა „რაგატკით" თესავენ ამ ფერდობებზე სიმინდს? ანდა, იმას რომ ამბობენ: თოკზე ჰკიდიან და ისე თოხნიან ყანასო, ხუმრობენ, თუ?

— თოკზე ჰკიდიან თუ ბაწარზე, ვერ ხედავ?.. — უპასუხა სათვალიანმა ისე, რომ ყანის მუშებისთვის თვალი არ მოუცილებია.

— გამატარე, ბიძიკო, ერთი, გამატარე... არ ეინძრეს მატარებელი!.. თოკზე კი არ ჰკიდიან, სიყვარულის ძაფზე ჰკიდიან და ისე უბაყუნებენ ამ კირქვიან კორტოხებს, აჰაა!..

მოიხედეს. ჭარმაგი, წითური სახის იმერელი მოსდგომია ჩანთებით ახალგაზრდებს და ცდილობს გაიაროს სივიწროვეში.

— აი, მართალი თუ გინდა, ეს არის!.. — გადახედა თანამგზავრს სათვალიანმა. მერე ორივენი ბოდიშებით უთმობენ გზას დროულ კაცს და თან ხელს აშველებენ, ტვირთს უმსუბუქებენ.

მალე მატარებელიც მიდის, თვალს ეფარება ოდა-სახლი, კოხტად შემორაგვული კარმიდამო და ის სამი ფაფანაკიანი ბიჭი, მამას რომ უდგანან გვერდით და მარჩენალი მიწა მართლაც სიყვარულის ძაფით უჭირავთ.

ნურც მოვსწრებოდეთ ამ ძაფის გაწყდომას!..

დედა არ მვახსოვს...

ხის მესრიდან კოხტა ეზოყური მოჩანს, მუხლის თავზე წამოსულა კოინდარი. იმერეთში ასეთ ეზოში ქათამს არ გააჭაჭანებს პატრონი — სახლის უკან ჰყავს გადამწყვდეული, ფრთხილობს, არ წაბილწოს ფრინველმა ბალახის სიხასხასე.

საღამოს ბინდი ეპარება ეზოს, მზემ სხივები უკვე აიკრიფა ბლისა და ქვიშნის, ხურმისა და ლეღვის ხეებიდან, ახლა ასწლოვანი კაკლის წვეროკანებს დასთამაშებს და საცაა საბოლოოდ ჩაესვენება შორს, ზღვაში.

მოხუცი ქალი სახლის წინ ზის. მან უკვე მოწველა საბალახოდან დაბრუნებული ძროხა და რძეც ჩაკვეთა ქოთანში, მერე კრუხს დახედა საბუდარში, წიწილი არ აკლდესო. და ახლა ჭირკოზე ჩამომჯდარა მთელი დღის ფუსფუსით დაღლილი. მაინც ვერ ისვენებს, სახლში შედის, კალათით პარკი ლობიო გამოაქვს, კალთაში არჩევს და თან თვალს ჭიშკრისკენ აპარებს ხშირ-ხშირად.

ამ საღამოს მთელი ქუჩა მოიარა ედუკიმ, სამეზობლოში სათითაოდ სთხოვა კაცებს; იქნება მიშველოთ, ხვალ ვენახი შემიწამლოთო, მაგრამ ვერავინ შეიპირა. ყველას თავისი საქმე ჰქონდა, გადაუღებელი წვიმების შემდეგ, როგორც იქნა, დარები დაიჭირა და საქმე მოძალებულიყო სოფელში.

— თენგიზს არაფერი შემოუთვლია? იქნება ქე ჩამევიდეს ხვალე... — დაიმედა ერთმა.

— რა ვიცი, ვაპირებო, მარა ჩამოვა? ათასი საქმე აქვს იმასაც...

არა, მეზობლებს ვერ დაემდურებოდა, როგორც შეეძლოთ ხედავდნენ, არავინ აყვედრიდა, ქალაქელების ჩამოსვლას თუ ვუცადეთ, ხო გავერანდა ყველაფერიო, ეტყოდნენ, და ერთი უხნავდა, მეორე უსხლავდა, მესამე უწამლავდა... ახლაც გულწრფელად წუხდნენ, მაგრამ რა ექნათ, მაინც საკუთარი ედარდებოდათ უპირველესად.

„მოსწყინდათ მაგენსაც, რამდენჯერ შეიძლება... გაწამაწიაში არიან... აქეთ სახლი, იქით კოლექტივი... ამინდიც არ აცლის — დღეში ცხრაჯერ იცვლება... ეეე... ესტატე... შენ ქე დეიკრიფე გულზე ხელები და გაუყევი იმ ქვეყანას, მარა, მე რაღა ვქნა,.. ისე, შენი ბრალი ქეა... რამდენჯერ გითხარი: არ გვინდა, კაცო, ეს თბილისი, აგერ, სადმე ახლო ვასწავლოთ ერთადერთ ბიჭს, მერე გაგვიხდება სანანებელი-თქვა... გაჯიუტდი, თბილისი მაინც სხვა არისო... ბიჭი ურიგო მართლა არ გამოსულა, თავის საქმეს ხედავს, ცოლ-შვილიც კაი ჰყავს, მარა აქაურობას რა ეშველება... ამ ბოლო დროს სულ ვეღარ იცლის მაინც თენგიზი... რა ქნას... ნეტაი ეშმაკი არ შეაცდენდეს და არაფერს გეივლებდეს გუნებაში, თვარა ხო გადაბრუნდა მამამისი საფლავში... ზოგ-ზოგი მოჩერებულია უკვე, იქნება ქე გაყიდოსო... ესტატეს დანატოვარ ეზო-გარემოს დეიწუნებენ თუ... მეტი არ ოუდგათ გვერდები, მაგას არ იზამს ჩემი ბიჭი".

— ედუკი ბებია, მაღაზიაში მივალ, ხო არაფერი გინდა?

ფიქრებიდან გამოერკვა, მეზობლის ბავშვი იყო ჭიშკართან:

— ჩამოდი ბებია, ჩამოდი, ფულს გაგატან, პური წამომიძღვანიე!..

ბავშვს ფული გამოუტანა.

— ერთი პური წამოიღე, ბებო, დანარჩენის კამფეტი იყიდე შენთვის... ე, მიდი ეხლა, ვაშლი მეიწყვიტე...

— არ მინდა, მადლობთ...

თვითონ უწ[illegible] ღიმილი უდგება თვალებში და მერე ისევ [illegible]დება.

* * *

დიდი ქალაქის ერთ-ერთი გარეუბნის მაღლივი კორპუსი. თენგიზი აღრენილი ბრუნდება სამსახურიდან, ლიფტიც არ მუშაობდა, ფეხით ამოვედიო. ბავშვები ტელევიზორს მიჩერებიან — ჩაუწიეთ ცოტა, მაგ უპატრონოსო! — ყვირის.

— რა იყო, შე კაცო, რა მოგივიდა... — ეუბნება ცოლი და ვახშამს აწყობს.

— რა ვიცი ერთი... ბედი უნდა ყველაფერს... მებაღეობის ამხანაგობის კრება იყო დღეს, ნაკვეთები გაანაწილეს და ისეთ ადგილას შემხვდა, ქვა-ღორღია ცარიელი, რა უნდა გაიზარდოს იქ, ან რა უნდა მოვიდეს... ტყუილად უნდა ვიწვალო... ახლა ერთი იმედი ისაა, ამხანაგობის თავმჯდომარემ მითხრა, ცოტა მოიცადე, იქნება მოგიხერხო უკეთესიო.

და იმ ღამეს ოჯახი იმედით იძინებს.

ვ. მარდალეიშვილი.

კომუნისტი

საკვირაო საკითხავი

ჯანსუღ ჩარკვიანი ● ახალი ლექსები

გაზაფხული

როგორ მოივარდისფრა,
რა ლამაზად გათენდა,
გული, გული, ძვირფასო,
გაზზარული გამთელდა.

ქართლი გამოეფინა,
ველობით და მდელოთი,
ცის ღრუბლებით მომავალს,
რა თქმა უნდა, გელოდი.

გაზაფხულო, ეგ გული
ახლა უფრო თბილია,
სიყვარული სდევნის შიშს,
თუ ის სრულყოფილია.

გაზაფხულო, შენი რტო
უნდა ხელში მჭეროდა,
სხვანაირად — არასდროს,
მხოლოდ ასე მჯეროდა.

ჩემო ტკბილო მამულო,
მისთვის გესიმღერები,
რომ მხოლოდ რწმენაშია
ძლევა ქვეყნიერების.

სიყვარული ცით მოდის,
ვისაც ცისა სწყურია,
გვიყვარდეს ერთმანეთი,
ღმერთი სიყვარულია!

ეჭვი, ანუ სულის სატკივარი

ეჭვი, ეჭვი, — ტრიალებენ
პანაწინა წისქვილები,
ძველისძველი იარებით
სხერტის ჭალას ვიქირები.

ეჭვი, ეჭვი — დაცურავენ
უსახელო მცურავები,
ზედ მუხლუხოს აწურავენ,
ნოსტეს სისხლით მწყურვალები.

ეჭვი, ეჭვი — თვალს მიკრავენ
ჩატეხილი ბოგირები,
გააშორეს, აგვიმყრალეს
მიტყუპული ლოგინები.

სულში ბაყაყივით დახტის
მილიონი შადიმანი,
ა, ბატონო, ეჭვის ტახტი,
ჩვენივ სულის სატკივარი.

სხერტის ჭალას ცხენს მიაგდებს,
ერთი ლახტის გადაკვრაზე,
თათარხანთა ცრემლს მიადენს
და მიაპობს საყაძე.

მოურავი ფაშას მოჰკლავს,
ალაჰს ყიჟილს გააგონებს,
მერე მხრებთან ხმალს შემოჰკრავს,
თავს რიყეზე გააგორებს.

ბრძანებითა მეფისათა,
ბევრი ციხე აულია,
აულია სისხლი ძმათა,
საკუთარი დაულევია.

მაგრამ ეჭვი, ეჭვი, ეჭვი, —
ნარდზე ყრია კამათელი,
გამოგვიღრღნა ეჭვმა ბეჭი,
დაგვისერა სამართებლით.

ჩინგისხანის უფრო გვჯერა,
ვიდრე გვჯერა საakaძის,
ყიზილბაშის უფრო გვჯერა,
ვიდრე კრწანისის და ცხრაძმის.

ეჭვი, ეჭვი, სისხლის თოკზე
ჩამომხრჩვალი სამართალი,
ღმერთო, იქნებ ახლად მოზელ,
ვინც ეჭვისგან ავათ არი.

ცხენს მიუშვებს ლერწმოვანებს,
სიკვდილის წინ გააგელვებს,
ვით ვენახებს ერთწლოვანებს,
მოვლა უნდა არაგველებს.

ვაშმე, ცოტნე დადიანო,
ვინა ჩივის გვირგვინს დაფნის,
სანთლადაც ვერ ჩამოჭქნენით,
ტანზე ნაცხებული თაფლი.

ვით ჩხორია — სხივთა კონა,
წინ მამული მიგიძღოდა...
ცოდვა, ცოტნე დადიანო,
შენი არა, ჩემი ცოდვა.

აქაც ეჭვი? ღმერთო ჩემო,
ჭრილობები ჩახჩახებენ,
თუ ჩვენს სულში ეშმაკები
ბოღმის კოცონს ანალებენ?

ეჭვი, ეჭვი, გულის ფიცარს
ცხელი ლურსმნით მიჭედილი,
ნუთუ ერთად გაიფიცა
უფლისა და მზის მჭვრეტელი?

ნაჩხვლეტი ხარ რა ნესტარით,
ისე როგორ დაილუპე,
შენი მტრების ნამეწყრალი
გულ-ღვიძლში ვერ დაიგუბე.

სულში ეჭვის შავი მახრა —
ცის და მიწის გამთიშველი,
ვაი, რწმენა დაგიმარხავს,
არც კი ვიცი, რა გიშველოს.

ნატყვიარი მტრის და ფლიდის,
შეხე, ცეცხლის აფრქვევს თვალებს,
ახი თვალით ჩააფრინდი,
ფრესკებსა და ნაფრესკალებს.

წლებო, წლებით ჩალეწილო,
შენი ზეცა გაცისკროვნდა,
ისტორიავ, არ გეწყინოს,
შეღინღლული კაცის ცოდვა.

შორეული სხივი გამხელს,
არცა ძმა და არც ძმობილი,
მიყვარს შენი ცივი სახე
ტყვიებისგან დაკოცნილი.

გარბის წუთი დაჭირხლული,
დაღლილი და დაზაფრული,
მოჭიკჭიკე მაჭირხოლი
მობრძანდება გაზაფხულით.

შვილთაშვილის ბადიში ვარ,
ზეცამ ცრემლი მოიწმინდა,
ნოსტეში ვარ,
მარტვილში ვარ,
მზის ნაკადი მოდის ციდან.

დრო ყველაფერს ვერა კურნავს,
ჩვენი დროის წარმმართველო,
წისქვილების თავზე მბრუნავს,
შენ უშველე საქართველოს!

ჩემი მთის გადასამღერი

გიორგი ლეონიძეს

დღეს გამახსენდი, გიორგი,
დედასპურივით ჩახჩახა,
ეგ შენი ქარი მიმოქრის
ტყეში გასული ყაჩაღად...

თუ ალაზანზე ტალღები
შენს ფიქრებს აჯირითებენ,
მარცხნივ გსაყდრობენ თალები
და კოცონს მარჯვნივ გინთებენ.

მეც შენი ლექსის სუნთქვა ვარ,
შენი ყივილით შემკრთალი,
როგორც ყვავილებს ფუტკარმა
მზეს ამოსწოვე ნექტარი.

ეგ მთვარე სად ევანება,
სად გაგიშუქა დიდგორი,
ამოჰქუხს შადრევანებად
მიწიდან შენი სტრიქონი.

მოვა დრო, სამოთხისათვის
შენსავით გაელამაზდები,
დამესიზმრება, ღვთის მადლით,
სინგურისფერი ვაზები.

მანამ კი მიწას ჩავბღვერი,
მის თავთუხს ჩავსცქერებივარ,
ჩემი მთის გადასამღერი
კვლავ ჩემი ჩანჩქერებია.

კიროვის პარკში

მამას

გამარჯობათ ძველებო,
ჩემო მკაცრო ბებრებო,
წამოდექით, ძელები
უნდა ცისფრად შევღებო.

ცისფერებში კარგად ჩანს
ძველი დარდიმანდობა,
იქნებ, სადმე გადარჩა
თქვენი ხვედრი მადლობა.

ვაჰ, თუ ფიქრში ევლებით
ულამაზეს მიჯნურებს,
წამოდექით, ძველებო,
გაპატიებთ სიჩუმეს.

შემოდგომის მზესავით
როგორ მოგიწყენიათ,
მაგ გულის სალესავი
ფიქრი ისევ ცხელია.

ნეტა, ახლა რას ფიქრობთ,
გულში რას ილრინებით,
რა ცხოვრებამ ჩაგიქროთ
ჯახისკაცის ხილვები.

ნეტა, რა გესიზმრებათ,
ბავშვური თუ კაცური?
იქნებ ისევ ფხიზლდება
ქარში დროშის ტკაცუნი.

სიზმრად იქნებ ტრაქტორი
გაჩერდა და გიჟდებით,
ან იქნებ დიქტატორი
გესიზმრებათ ხიშტებით.

იქნებ დასდევთ ყაჩაღებს,
დამალულებს ომიდან,
ან იქვე გაასაღეთ
ტყიდან ვინც გამოვიდა.

ძველი სევდით მარხულობთ
ბოლო ჟამს და ბოლო დროს,
ალბათ, ხშირად ნახულობთ
სტალინსა და მოლოტოვს.

იქნებ, სულაც შემშლიხართ —
ყველას თავის გმირი ჰყავს,
იქნებ, ყვავილებში ხართ —
გაუმარჯოს ლირიკას.

იქნებ, უყურადღებო
შვილმა დააგვიანა
და ივსება კათხები
მოთმინების ფიალად.

ღირდა? იქნებ, არც ღირდა?
იქნებ, ვინმე გვამადლის? —
მწყობრად მოდის მაღლიდან
თქვენი ფიქრის პარადი.

ეგ ფიქრი ნუ ჩაგიქროთ,
ძველებო და ზორბებო,
ღმერთმა იცის, რას ფიქრობთ,
ოთხმოცი წლის ორბებო.

ლექსი თბილისს, ანუ უბან-უბან ხეტიალი

სუყველა ფიქრი მირბის ვერაზე,
შენ უნდა მომკლა, უნდა დამმარხო,
ვერა მთვარე და ვერა ვერა მზე
შენ ვერ გჯობია, ყრმობის ბალახო.

სოლოლაკიდან მობერილ ნიავს
მოაქვს რუსთაველზე იის სურნელი,
რასაც დღეს ვარდისუბანი ჰქვია,
სწორედ იმით ვარ განუკურნელი.

გადაუფრინა ავლაბარს მტრედმა,
ჩუღურეთიდან გკოცნი, გეხვევი,
დიდუბე, ჩემი ლამაზი დედა,
არის გამზრდელი შენი ვეფხვების.

კრწანისის ნაკრძალს მოადგა დალი,
ფეხშიშველი რომ გაჰყვეს თბილისელს,
სად გაჩითულა დიღომი, გლდანი,
სად გაქცეულხარ ვარკეთილისკენ.

მტერს გულზე შენი დაადგეს ძვალი,
ღმერთს გაუხარდი და აუყვავდი,
ნაძალადევში დასახლდა ძალით,
ვისაც ყველაზე მეტად უყვარდი.

ჩამქრალ საფლავზე ქალაქელ ძმების,
ქარი ჭადართა ფოთლებს მიმოშლის,
საბურთალოდან წასული გზები
იკარგებიან მატილიონში.

მტკვარში ჩაგდებულ მილიონ ანკესს
მოსდევს „ცოცხალი" ანდამატივით,
სალამი ცხრა ძმას, სალამი ვაკეს,
აბანოთუბანს ჩემი პატივი!

ხელში უჭირავს ქალაქის კვერთხი,
არის გორგასლის ნაღდი სახსნია,
შენს საძმო სახლში ვისაც კი ერთხელ
ძმაკაცთან პური გაუტეხნია.

მამადავითზე იელი ჰყვავის,
ორთაჭალაში — ხმალი სამასი,
შენ რომ ძეგლი ხარ საკუთარ თავის,
მე რა დაგიდგა უფრო ლამაზი?

გენერალი აბაშიძე

არც კალმიკი, არცა ჩუხჩი,
არცა კიდევ ჩუვაში,
ციმბირს აბაშიძე ქუხდა.—
გაწკეპილი ულვაშით.

მარტო ულვაშს პატივს ვინ სცემს,
საქმეც უნდა მოგვარდეს,
შენ, იმერელ აბაშიძეს,
დივიზია მოგანდეს.

აქეთ-იქით წარბი მკაცრი
გადაგირტყამს მათრახად,
ოცდაცხრამეტი წლის კაცი
გენერალი გამხდარხარ.

შემხვდი ეშხით, ხელი მხარზე
ძმურად მომითათუნე,
ციმბირს რუსი ვერ ვიაზრე,
ისე ჩამიქართულე.

იმერული ჭაჭა გვასვი,
იმერული თავაზით,
ხელში გვეჭყრა ვერცხლის თასი,
სავსე სხვა სილამაზით.

გულში ჩამრჩა თებერვალი
ციმბირული სიცივის,
სურათიდან გენერალი
აბაშიძე მიცინის.

ცრემლი

ირემი ირემს,
მგელი მგელს ეძებს,
კივილით ტურებს
უხმეს ტურებმა.
პატარა ჩიტი
შემჯდარა ხეზე
და მეორე ჩიტს
ეძლურტულება.
აყვავდა ცრემლი
ცრემლთან მომდგარი,
როგორც ნუგეში
პატარა ლექსის,
რა საბრალო ვარ,
რა საცოდავი,
ყველა ტირილი
სიმღერად მესმის.

ბეწვის ხიდზე

ბრიყვი შემხვდა ბეწვის ხიდზე,
გველის კუდზე შემართული,
უცებ გამახსენდა სიბრძნე,
მეგობარო, შენგან თქმული:

ვთქვათ და, ჭკვაშემლილი ვცემო,
ვთქვათ და, ჭკვაშემლილმა მცემა,
გინდა „ვეფხისტყაოსანი" ვწერო,
დამნაშავე მაინც მე ვარ.

გარსია ლორკა

აი, შენ ტყვიას მომიზნებ —
არც დამიზნება გცოდნია..
და შენს ცხოველურ ყვირილზე
ვუმზერ შენს ხელებს ცოდვიანს.

მე, რა თქმა უნდა, ღირსი ვარ,
მე, რა თქმა უნდა, მტერი ვარ,
შენი არა ვარ, სხვისი ვარ,
სულ სხვა სიმღერას ვმღერივარ.

ვდგავარ ვით ნათელმხილველი
და წარბის შეხრას არ ვცდილობ,
მზადა ვარ, ოღონდ პირველი,
პირველი არ ამაცილო.

ღალატი

არა მტერმა და ორგულმა,
არა გადამთიელმა,
ღმერთო ჩემო, შინაურმა
მომკლა, გამატიალა.

მე რომ მკერდში ვიხუტებდი,
ვუკოცნიდი იარას,
სწორედ იმან, სწორედ იმან
მომკლა, გამატიალა.

სანამ იყო, რა მეფერა,
დედა, რა მეტრფიალა?!
წავიდა და დამიტოვა
შხამით სავსე ფიალა.

კი ბატონო, მე გამოვცლი
ამ ფიალას მთლიანად,
ღმერთმა შენ კი შეგარცხვინა
შენი ღალატიანა.

მაჩაბელზე

სხვა ეშხი აქვს, სხვა იარა,
სხვა ვარსკვლავის ციმციმი,
რა ლამაზად ჩაიარა,
რა ლამაზი სიცილით...

სისხლო, კვლავაც ამიქუხდი,
კვლავაც ეტრფი ვარდობას,
თუ სიბერეს ბოდიშს უხდის
ჩემი ახალგაზრდობა?

ჟამი

ჩემი მიქელ-გაბრიელი
სათიბში დგას
წყვილი ცელით,
რადგან შემქმნეს მიწისაგან,
რადგან მიწად მივიქცევი.

ჟამი არის როკვისა და
ჟამი არის ტირილისა,
ჟამი არის განშორებით
გამოწვეულ ტკივილისა.

ჟამი არის განგდებისა,
ჟამი არის სურვილისა,
ჟამი არის სიტყვის თქმისა,
ჟამი არის დუმილისა.

ჟამი არის ძიებისა,
ჟამი არის წარწყმედისა,
ჟამი არის ბორკილისა
და ბორკილის დაწყვეტისა.

ჟამი არის სიყვარულის,
ჟამი არის სიძულვილის,
ჟამი არის უჟამოსი,
ჟამი არის მზის სურვილის.

ჟამი არის სისხლისა და
ჟამი არის მშვიდობისა.
ჟამი არის მართლის თქმისა,
ჟამი არის ფლიდობისა.

ყველასათვის ჟამია და
ყველა საქმის ჟამი არი,
ერთად ვდგავართ სიკვდილის წინ
უჟამო და ჟამიანი.

ჟამი არის განკურნების,
ჟამი არის ჭიდილისა,
ჟამი არის შობისა და
ჟამი არის სიკვდილისა.

ცოდვილი და წარწყმედილი
ლექსებს გიწერთ წყვილი ცრემლით,
რადგან შემქმნეს მიწისაგან
რადგან მიწად მივიქცევი.

„კომუნისტის" პუბლიკაცია

ინდური ძეგლი ილიას სახლ-მუზეუმში

საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ექსპონატთა შორის არის ნივთი, რომელიც ხის დიდ დაკეცილ მარაოს მოგაგონებთ, მაგრამ სინამდვილეში იგი ძველი ინდური ლიტერატურის იშვიათი ხელნაწერია.

საგულისხმოა, რომ ამ ხელნაწერის დამცველ ხის (54X6 სმ) „გარეკანზე" იისფერი მელნით რუსულ ენაზე აწერია: «Высокочтимому князю Илье Григорьевичу Чавчавадзе с просьбой брать его с собой на банковские заседания для очередного напоминания о прелести Нирваны: декабрь 1896 г. В. Величко».

როგორც ცნობილია, ვ. ველიჩკო ილიასთან მეგობრობის პერიოდში თბილისში გაზეთ „კავკაზს" რედაქტორობდა; ეს გახლავთ პოეტი ვასილ ლვოვის ძე ველიჩკო — უკრაინელი მემატიანის სამუელ ველიჩკოს შთამომავალი.

ცნობილია, რომ ვ. ველიჩკო გატაცებული იყო აღმოსავლური კულტურით, ასევე ინდურითაც, აქვს ლექსების ციკლიც — „აღმოსავლური მოტივები" და სხვ. უნდა ვიფიქროთ ისიც, რომ მას უთუოდ ჰქონდა კონტაქტები იმ რუს მოღვაწეებთან, რომლებიც გასულ საუკუნესა და ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში ინდოეთის ხშირი სტუმრები იყვნენ. ამათგან ზოგიერთმა ინდოეთი თავისი მოღვაწეობის სამუდამო ასპარეზადაც კი აირჩია. ვფიქრობთ, ყოველივე ამის შედეგად მოხვდა აღნიშნული ინდური ძეგლი ვ. ველიჩკოსთან, რომელსაც შემდგომში იგი დიდი ილიასათვის უსახსოვრებია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელნაწერი სამხრეთინდურია, ამიტომ ძეგლის ფოტოები გავაცანი სამხრეთინდური კულტურის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტს, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელს ნინო კრასნოდემბსკაიას: რამდენიმე ხნის შემდეგ ლენინგრადელი მეცნიერი თბილისში ჩამოვიდა მივლინებით და მასთან ერთად ვეწვიეთ საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმსაც. ძეგლზე მუშაობისას ცხადი გახდა, რომ ილიასეული უნიკალური ინდური ლიტერატურული ძეგლი არის სამხრეთინდური ბუდიზმის ჰინაიანას კანონიკური იშვიათი ტექსტის ერთი ნაწილი — „აბჰიდამა" ანუ „აბჰიდაჰარმა" პალის ენაზე, რომელიც ჩვენს ერამდე მეორე ათასწლეულში გამოიყენებოდა, მაგრამ ხელნაწერი შესრულებულია სინგალური ანბანით (რომელიც შრი ლანკის — ცეილონურ ენაში იხმარება).

აბჰიდამა ბუდისტურ ლიტერატურაში ცნობილია „სატია — პათჰანასუტას" სახელწოდებით და შედგება შვიდი ნაწილისაგან: 1. „დჰამასანგამი" — ადამიანის მენტალური მდგომარეობა; 2. „ვიბჰაგა" — ანალიზი; 3. „უათჰიავაიჰუ" —მსჯელობის საგნის ასახვა; 4. „პუგალაპანატა" — ადამიანის თვისებათა მეტაფიზიკური კლასიფიკაცია; 5. „დჰატავათჰა"— ადამიანის მენტალური ელემენტების განმარტებანი; 6. „იამა" — ეთიკური მდგომარეობა. 7. „პათჰანა" —ეთიკური ელემენტების ურთიერთკავშირის განსაზღვრა. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ „აბჰიდაჰარმა" ადამიანის მენტალური და ფსიქიკური მდგომარეობისა და შესაძლებლობათა ურთიერთკავშირია ბუდისტთა მეტაფიზიკური თვალსაზრისით.

ნ. კრასნოდემბსკაიას აზრით, „აბჰიდამას" ილიასეულ ეგზემპლარს აკლია რვა „პალმის ფურცელი" ანუ თექვსმეტი გვერდი, ვინაიდან ჩვეულებრივ „პალმის" ფურცლის ორივე მხარეზე იწერება ხოლმე ამგვარი ბუდისტური ტექსტი და შემდეგ მარაოსებურად იკინძება. მისი მთლიანი ტექნოლოგია მკვლევარმა შემდეგნაირად აგვიწერა: პალმის გრძელ ფოთლებს საგანგებოდ ალბობენ, რათა ფოთოლი უფრო ელასტიკური გახდეს. შემდეგ მათ ცალ-ცალკე ახმობენ მზეზე; ამგვარად დამზადებულ ფოთოლს ზოლებად ჭრიან და საგანგებოდ ამაგრებენ, შემდეგ კი ფოთლის ორივე მხარეზე ლითონის ნემსით ხდება ტექსტის ამოკაწვრა. ამოკაწრულ ზედაპირს აყრიან ნახშირს და თან ზედაპირზე სრესენ. ამასთანავე სულს უბერავენ ხოლმე, რომ ამოკაწრული ხელნაწერის ზედაპირზე ზედმეტი ნახშირი არ დარჩეს. ნაწერის გასამაგრებლად ფოთოლს საგანგებოდ ზეთს უსვამენ. ასევე მზადდება „პალმის ფურცლის" მეორე გვერდიც. ასეთნაირად დამუშავებული ბუდისტური ტექსტის გვერდები იკინძება მარაოსებურად და თავსდება პალმის მერქნიდან გამოთლილ ორ თხელ ზოლს შორის, რომელიც ყდის როლს ასრულებს და ხელნაწერს დაზიანებისაგან იცავს.

ილიას სახლ-მუზეუმში დაცულ ინდურ ძეგლთან დაკავშირებით საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ამ ინდური ძეგლის რაობის დადგენის საკითხი ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინათ წამოჭრილა, როგორც ეს ინდოელი მეცნიერის, პროფესორ ს. ჩატერჯის წერილის ქართული ტექსტიდან ირკვევა. საგურამოს სახლ-მუზეუმიდან 1963 წელს ინდოეთის საელჩოსათვის მიუმართავთ და წერილთან ერთად ინდური ხელნაწერის პატარა ფოტოც გაუგზავნიათ. ინდოეთის საელჩოს ეს ამბავი უყურადღებოდ არ დაუტოვებია და აღნიშნული ძეგლის ფოტოები გაუგზავნია ცნობილი ინდოელი ენათმეცნიერის, პროფესორ სუნიტი კუმარ ჩატერჯისათვის. მეცნიერს 1963 წლის 20 მაისს საქართველოში გამოუგზავნია გულთბილი და მეცნიერული თვალსაზრისით საინტერესო წერილი, რომლის თარგმანსაც გაგეცანით. სამწუხაროდ, წერილის დედანს ვერ მივაკვლიეთ. გაუგებარია ისიც, თუ რატომ იმთავითვე არ გამოქვეყნდა ინდოელი მეცნიერის წერილის ქართული თარგმანი, რომელსაც ახლა ორი ათეული წლის შემდეგ ვაქვეყნებთ. აი, რას წერს იგი მუზეუმის მაშინდელ დირექტორს, აწ განსვენებულ გ. მიხეილიძეს:

„ბატონო მიხეილიძევ!

ცხადად მახსოვს ჩემი ვიზიტი ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში 1958 წელს საქართველოში ყოფნის დროს. მახსოვს აგრეთვე თქვენი მუზეუმის თანამშრომლების გულისხმიერება ჩემდამი. მივილე თქვენს მიერ საელჩოში გამოგზავნილი სამი ფოტოსურათი, რომელიც ხელნაწერის ექვს გვერდს ასახავს;

1. ხელნაწერი შექმნილია პალის ენაზე (სინგალური) ცეილონური შრიფტით. იგი დაახლოებით ასი-ას ორმოცდაათი წლისაა. დაწერილია რკინის კალმით კარგად დამზადებულ პალმის ფურცელზე, რომელიც ქაღალდის ნაცვლად იხმარებოდა ძველ ინდოეთში, ცეილონზე, ბირმაში, ჩინეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. რკინის კალმით ამოკაწვრის შემდეგ ნაწერს აყრიან ნახშირს და ამდაგვარად იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მელნით ყოფილიყოს დაწერილი;

2. კალკუტაში ხელნაწერი ვუჩვენე სინგალელ ბუდისტ ბერს, რომელმაც იგი იოლად წაიკითხა, თუმცა გამადიდებელი მინა გამოიყენა, რაკი ასოები ძალზე პატარა იყო ფოტოზე. მან თქვა, რომ ეს ხელნაწერი არის პალიური ტექსტის — „სუთაპიტაკას" ნაწილი, რომელიც ცნობილია „სათჰიანაპათჰანას" სახელწოდებით და თავის მხრივ წარმოადგენს ბუდისტური ტექსტის „აბჰიდჰარმას" (აბჰიდ-ამას — პალიზე) მეორე თავს;

3. „აბჰიდჰარმა" პოპულარული ტექსტია. რომაული ანბანით იგი გამოიცა ლონდონში. პალიური ტექსტების საზოგადოების მიერ გამოცემული არის იგი აგრეთვე სიამური და სინგალური ანბანით სიამაში. ბენგალელი ბუდისტების მიერ ეს ტექსტი ბენგალური ანბანით (შრიფტით) გამოიცა რანგუნსა და კალკუტაში. არსებობს აგრეთვე ეს ტექსტი, ნაგალური (აქ ინდოელი მეცნიერი უთუოდ გულისხმობს ნაგალენდის — ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციის ენას — ასამურს, ნ. კ.), გამოცემული ბიჰარში ბუდიზმის შემსწავლელი უნივერსიტეტის მიერ, შესაძლებელია არსებობს კამბოჯური გამოცემაც".

მეცნიერი იძლევა რჩევას, რომ ტექსტი უნდა გაიგზავნოს მოსკოვში პალიური ენის სპეციალისტებთან, საიდანაც მუზეუმი მიიღებს საჭირო დეტალურ ცნობებს ამ ხელნაწერთან დაკავშირებით, ხოლო ინგლისურ ენაზე გადასათარგმნად მიუთითებს ცეილონის საელჩოზე მოსკოვშივე.

ნ. კენჭოშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს, გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

საბერძნეთში — მეგობრულ ვიზიტად

საბერძნეთის ქალაქ ნიკეის მერის სტილიოს ლოგოპეტის მიწვევით ძველ ელადაში გაემგზავრა ქალაქ ქუთაისის დელეგაცია.

ეს ქუთაისელთა საპასუხო ვიზიტია. წელს გაზაფხულზე მათ გულთბილად უმასპინძლეს საბერძნეთის წარმოგზავნილებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდნენ ქართველი და ბერძენი ხალხების მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების მიზნით. როდესაც ქუთაისში იმყოფებოდა, ნიკეის — საბრძოლო დიდების ქალაქის მერმა, ქალაქისა, რომელიც ომის წლებში წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი საყრდენი პუნქტი იყო, კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ეს კონტაქტები ხელს შეუწყობს ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნების საქმეს.

ქუთაისელთა დელეგაცია, რომელიც საბერძნეთში ათ დღეს დაჰყოფს, მონაწილეობას მიიღებს ბერძენი პატრიოტების — ქალაქ ნიკეის იმ 138 მცხოვრების ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში, რომლებიც 1944 წლის 17 აგვისტოს დახვრიტეს ფაშისტმა ოკუპანტებმა.

18 აგვისტო — სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეა



ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ავიატორები საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მოპოვებული ახალი წარმატებებით ეგებებიან სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს. ავიატორები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სრულიად არმიის შეჯიბრებაში დევიზით „სკკპ XXVII ყრილობას — ჩვენი თავ[illegible] მხედრული შრომა!", ღირსეულად იხდიან თავიანთ [illegible] სსრ კავშირის შეიარაღებუ[illegible]ის მეომრებთან ერთიან [illegible] ფხიზლად დგანან ისი[illegible] ზღვებისა და ჩვენი სამშობ[illegible] საზღვრების სადარაჯოზე, [illegible]მის დიად მონაპოვარ[illegible]ზე, დღენიადაგ ხვე[illegible] საფრენოსნო ოსტატობას და [illegible] პოლიტიკური მომზადების დონეს.

სურათზე: გაფრენის წინ.

ა. რუხაძისა და ი. ზლამოვის ფოტო (საქდესის ფოტოქრონიკა).

ფრთაშესხმული ოცნება

სახელოვანი ცხოვრების გზა განვლო საფრენოსნო საქმის მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტმა, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტმა იური ფოტინოვმა, რომელიც დღეს მოსკოვში ცხოვრობს და მოღვაწეობს. მისი სიყრმის და სიჭაბუკის სანუკვარი მოგონებები კი მშობლიურ თბილისს უკავშირდება.

იგი აქ დაიბადა, აქ გაიზარდა, მიაღწია გონებრივ და ფიზიკურ სიმწიფეს. ბავშვობაში ბედმა უმტყუნა, მამამ ოჯახი ადრე მიატოვა, მაგრამ იურისა და მის ძმას ვანოს დედის მშობლების შემწეობით გაჭირვება არ უგრძნიათ.

იურის დედა, პედაგოგი მარიამ მეგრელიძე საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ავქსენტი მეგრელიძის შვილი იყო, ხოლო ბებია — მწერალი ქალი ლიდია მეგრელიძე. ამ ოჯახში თავს იყრიდნენ ცნობილი ქართველი პოეტები, ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი. ასეთ გარემოს არ შეიძლება ბავშვებზე კეთილი კვალი არ დაეტოვებინა, და ასეც იყო.

გენერალ-ლეიტენანტი იური ფოტინოვი დღეს მოწიწებით იგონებს თავის დედას, საყვარელ აღმზრდელ ბებიასა და ბაბუას: დედაჩემმა და მისმა მშობლებმა დაგვაყენეს ფეხზე, ჩამოგვიყალიბეს ადამიანური თვისებები, სამშობლოს, შრომისა და სწავლის სიყვარულით.

ბავშვობაში იურის ბევრი რამ იტაცებდა, უწინარესად მხატვრობა და სპორტი. ერთხანს ფიქრობდა, რომ სწავლას სამხატვრო აკადემიაში განაგრძობდა, მაგრამ იმხანად, 1939 წელს, მასობრივად ფეხს იკიდებდა და ვითარდებოდა საავიაციო საქმე და ბიჭები ყველანი მფრინაობაზე ოცნებობდნენ. 15 წლის იურიმაც უღალატა სამხატვრო სტუდიას, სადაც სწავლობდა და ავიამოტოსკოლაში შევიდა.

ამ არჩევანისთვის მას შემდგომ აღარ უღალატია და მთელი თავისი ცხოვრება ავიაციას დაუკავშირა.

1941 წლის იანვარში თბილისში დაარსდა სამხედრო-საჰაერო ძალების საშუალო სკოლა. იური და მისი ძმა სასწავლებლად ამ სკოლაში გადავიდნენ (ძმა ვანო საზღვაო ავიაციის შტურმანი გახდა; იგი ჯარიდან განთავისუფლების შემდეგ თბილისში ცხოვრობს და მუშაობს).

სამამულო ომის დაწყების პირველსავე დღეს მეოცნებე მფრინავები უმალ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში გამოცხადდნენ. აქ თავი მოეყარა მრავალ სპეცსკოლელს. მოხალისენი ერთხმად ფრონტზე გაგზავნას მოითხოვდნენ. არასრულწლოვანებს უარი უთხრეს.

მეორედაც გაუცრუვდათ იმედი, როცა სპეცსკოლის მთელი გამოშვება საჰაერო სასწავლებლის ნაცვლად ასტრახანს გაგზავნეს — სამხედრო ავიაციის მექანიკოსების სკოლაში. ღამღამობით კურსანტებს გემებიდან და რკინიგზის ვაგონებიდან სტალინგრადისაკენ მიმავალ კარჭაპებზე გადაჰქონდათ იარაღი, ტყვია-წამალი და სურსათი.

ერთ დღეს დილაადრიან მათი პირველი ბატალიონი განგაშის ხმაზე წამოიშალა. სასწავლო მოედანზე კურსანტებმა მიიღეს სამხედრო აღჭურვილობა და მოწყობილობა. მეხსიერებაში ყველას ღრმად აღბეჭდა სკოლის უფროსის სიტყვები: „ამხანაგო კურსანტებო! თქვენ ჩვენი სკოლის პირველი მერცხლები ხართ, რომლებიც სტალინგრადის დასაცავად იგზავნებით". ბრძანებაზე — „ნაბიჯით იარ" კურსანტები გასცდნენ სკოლის კარებს ისე, რომ ტუმბოებში დარჩათ ახლობელთა წერილები და ფოტოსურათები.

გადალახეს ვოლგა და მის მარჯვენა მხარეზე გადავიდნენ.

ფოტინოვს დაევალა სტალინგრადის მოქმედი 28-ე არმიის ნაკრები კურსანტული პოლკის ერთ-ერთი ოცეულის მეთაურობა. მათ პირველსავე ბრძოლებში მოიგერიეს მტრის გააფთრებული იერიშები.

მას შემდეგ, რაც ი. ფოტინოვი ესკადრილიის მეთაურის მოადგილედ დანიშნეს, საჭირო იყო მფრინავის რთული პროფესია შეეთავსებინა პოლიტმუშაკის პროფესიისათვის. 1960 წელს ფოტინოვმა წარჩინებით დაამთავრა მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკური აკადემია და მიიღო მაიორის წოდება. იგი პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობს ქვეყნის სხვადასხვა სამხედრო ოლქში. მან ჰაერში სამი ათას საათზე მეტი გაატარა, აითვისა 15 სახის თვითმფრინავი. დიდი ღვაწლი სათანადოდ დააფასეს, მიანიჭეს ჯერ გენერალ-მაიორის, ხოლო შემდეგ ავიაციის გენერალ-ლეიტენანტის მაღალი წოდებები, დააჯილდოვეს წითელი ვარსკვლავისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენებით, 18 მედლით.

ლ. დოლიძე.

გავღონიერდეთ, გავჯანსაღდეთ, გავმაგრდეთ!

ცხენით ტურისტულ ბილიკებზე

ჩვენს საუკუნეში, როცა უცხოეთის ზოგიერთი ტურისტული ფირმა უკვე საპლანეტთაშორისო მოგზაურობებსაც კი გეგმავს და საგზურებსაც ყიდის, თითქოს გასაკვირი და საოცნებო აღარაფერი დარჩა, მაგრამ... თურმე ადამის მოდგმის ოცნება და სწრაფვა მომხიბვლელისადმი უსაზღვროა. იქნებ გაგიკვირდეთ კიდეც — ამ მისწრაფებაში მხოლოდ მანამდე უხილავი და შეუცნობი როდი დგება წინა პლანზე. ადამიანი წარსულსაც უბრუნდება, ცივილიზაციის დღევანდელი სიმაღლიდან იგი სხვაგვარად უყურებს გარდასულს, იბრუნებს მას, მაგრამ იბრუნებს ისე, რომ თანამედროვეობასთან შეხამებული იყოს. ჩნდება რაღაც ახალი გატაცება, ისეთი, რომლის საჭიროება, იქნებ, ჩვენს შორეულ წინაპარს ვერც წარმოედგინა.

სწორედ ასე გვიბრუნდება დღეს ადამიანის უპირველესი მეგობარი — ცხენი. ადამიანს ცხენი დღეს უწინდებურად აღარ სჭირდება ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგრამ ბუნების ამ უმშვენიერესი ქმნილების დავიწყება არა და არ ეგების. ახლა, როცა არნახული მასშტაბი მიიღო ტურიზმმა, როცა, როგორც იტყვიან, მთელმა მსოფლიომ „ფეხი აიდგა" და მოგზაურობის საშუალებად თითქმის ყველანაირ ტრანსპორტს იყენებს, არც ცხენი რჩება უყურადღებოდ. იშვა ახალი გატაცება — საცხენოსნო ტურიზმი. ნუ ვიდავებთ იმაზე, რა უფრო კომფორტულია ტურისტისთვის, სჯობს, ისა ვთქვათ, ტურიზმის რომელი სახეობა და გადაადგილების რომელი საშუალება უფრო იტაცებს მას. ადამიანი პირველ ყოვლისა ბუნების შვილია, და სრულიადაც არ გვიკვირს, როცა ტურიზმის მოყვარულთა უმეტესობა ქვეით ტურიზმს ირჩევს. აბა, ახლა საცხენოსნო ტურიზმის მოყვარულებს ჰკითხეთ! ამაზე მიმზიდველი რამ არ არსებობსო, უყოყმანოდ გეტყვიან.

ჩვენს რესპუბლიკაში ტურიზმის ამ მართლაც ეგზოტიკური სახეობის განვითარებას ამ ათიოდე წლის წინ ჩაეყარა საფუძველი თბილისის იპოდრომზე. ენთუზიასტებმა ამ სახის დანერგვის მიზნით თავის დროზე ალვანიდან თუშური ცხენები ჩამოიყვანეს. თუშური ცხენი უიშვიათეს ჯიშად არის აღიარებული მთელ მსოფლიოში. იგი ძალიან გონიერი და ფრთხილია, თამამად გადის ვიწრო ბილიკებზე, დიდხანს ცოცხლობს და ინარჩუნებს მუშაობის უნარს. დღეს სრულიად სამართლიანად გვეამაყება, რომ ჩვენი საცხენოსნო ტურიზმის მარშრუტები ყველაზე მიმზიდველია მთელ საბჭოთა კავშირში. ყველაზე კეთილმოწყობილი ბაზებიც გვაქვს თბილისის იპოდრომზე და [illegible].

1979 წელს [illegible] ტურიზმისა და ექსკურსიების [illegible] საბჭომ დაიწყო საცხენოსნო ტურიზმის დანერგვა. უამრავ ტურისტს იზიდავს მარშრუტი გაგრა-ოტაპი-სოხუმი. 1980 წელს კი ქუთაისშიც დაიწყო მხედრული ტურიზმის დანერგვა. მარშრუტი გადის ცაგერისა და აჭარის თვალწარმტაცი ბუნებისა და ისტორიულ ადგილებში. ტურიზმის ამ სახეობის დანერგვას სერიოზულად მოჰკიდეს ხელი სიღნაღსა და თელავში. ახალი გამაჯანსაღებელი კომპლექსი გაიხსნება მცხეთაში, სადაც საცხენოსნო ტურიზმს წამყვანი ადგილი ექნება მიკუთვნებული.

მისასალმებელია ტყიბულელთა თაოსნობა, სადაც საცხენოსნო ტურიზმი სულ მალე ჩადგება მეშახტეთა ქალაქის მშრომელთა სამსახურში. აქვე დავძენთ, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურმა საბჭომ მიიღო დადგენილება „რესპუბლიკაში საცხენოსნო ტურიზმის განვითარების შესახებ". ეს დოკუმენტი სათავეს იღებს „მეცხენეობის, საცხენოსნო სპორტისა და ტურიზმის განვითარებისათვის" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილებიდან. როცა საცხენოსნო ტურიზმის განვითარების საჭიროებაზე და მის პერსპექტივებზე ვლაპარაკობთ, ცხადია, პირველ ყოვლისა ანგარიშს ვუწევთ რესპუბლიკის უნიკალურ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს. აქვე უნდა ითქვას სიძნელეებზეც. უპირველესი პრობლემა — ეს არის ცხენი, მისი მოვლა-პატრონობა და შენახვა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „საკლუბო დაწესებულებებისა და სპორტული ნაგებობების გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" ნათქვამია: „მიზანშეწონილადაა მიჩნეული შეიქმნას ინტერესების მიხედვით მოყვარულთა გაერთიანებები და კლუბები ინდივიდუალური წევრებისა და შენატანების გადახდის საფუძველზე... შეიქმნას სამეურნეოანგარიშიანი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი გაერთიანებები". ალბათ დროა შევქმნათ საცხენოსნო ტურიზმის მოყვარულთა კლუბები. დავიწყოთ თბილისის შემოგარენში, ვთქვათ, ნაზირგორაზე, ბეთანიაში, ვერის ხეობაში, დიდგორზე და სხვაგან კოოპერაციული თავლების მშენებლობა, სადაც თბილისელებს, გარკვეული საფასურის გადებით, შესაძლებლობა მიეცემათ იყოლიონ ცხენები. შაბათ-კვირას და თუნდაც სამუშაოს შემდეგ რა ჯობს ოჯახთან ერთად ცხენებით გასეირნებას. ამთავითვე უნდა ვიზრუნოთ საცხენოსნო ტურიზმის კადრების მომზადებაზეც.

ცხენი მზად არის გვემსახუროს, გვთხოვს, კვლავ მივუბრუნდეთ, რათა ისევ გაალამაზოს ჩვენი ცხოვრება.

სხვა რომ არაფერი, ჩვენი ვალია ცხენი შევუნახოთ შთამომავლობას, ვიხსნათ იგი გადაგვარება-გადაშენებისგან. ამ საქმეში კი დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია საცხენოსნო ტურიზმს.

თ. თომაშვილი.

კონტაქტები, თანამშრომლობა

ახლა მიაჩნიათ იაპონიის „თომას-ფუდსისა" და „ტოკიო ბოეკის" ფირმებს, რომლებმაც ლიცენზიით დაიწყეს ქართული პროდუქტის — ნადუღის მასობრივი წარმოება, მას იაპონიაში ფირმის სახელწოდება „ერენ გრუზია" შეარქვეს.

ამ მასალას რომ ვამზადებდით, ფირმა „ტოკიო ბოეკის" მოსკოველ წარმომადგენელს ნაკაიამას ვთხოვეთ, მოკლედ დაეხასიათებინა ეს რძის პროდუქტი.

— დიდ მაცუო ბასიოს ჩვენს დროში რომ ეცხოვრა, „ერენ გრუზიას" აუცილებლად მიუძღვნიდა ლექსებს, — გვითხრა ნაკაიამამ.

შესაძლოა ასეც ყოფილიყო. ხომ უძღვნიდნენ იაპონელი მგოსნები თავის ჰოკუს ეროვნულ ატრიას და ამტკიცებდნენ, თითქოს იაპონიაში ბატები მხოლოდ იმისთვის მოფრინავენ ხოლმე, რომ ეს კერძი გასინჯონ. მაგრამ ეს ვარაუდებია, სინამდვილეში კი...

ორი წლის წინათ იაპონიის რძის მრეწველობის სპეციალისტთა ჯგუფი, რომლებიც ცნობილ ფირმებს „ნიპონ სოგიოს", „ტოკიო ბოეკის", „აისტ-კორპორეიშნს" წარმოადგენდნენ, საქართველოს დედაქალაქში ეწვია საწარმოო გაერთიანება „თბილისრძეს". მათი მიზანი იყო შეესწავლათ ნადუღის წარმოების თავისებურებანი. ეს არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. იაპონელები, რომლებიც დიდხანს სწავლობდნენ რძის პროდუქტებს ჩვენს ქვეყანაში, დარწმუნდნენ, რომ ნადუღი სწორედ ის არის, რაც მათ სჭირდებათ. ჯერ ერთი, ძალიან გემრიელია, მეორეც, ნადუღს აუცილებლად ყოველდღე მიირთმევენ საქართველოს დღეგრძელნი, რომელთა ცხოვრებას დიდხანს აკვირდებოდნენ იაპონე-

ნადუღი დღეგრძელობის ელექსირია



სურათზე: იაპონიაში გამოშვებული ნადუღის კონცენტრატის ყუთისა და პაკეტის გაფორმების ელემენტები.

ლი გერონტოლოგები მაღალი მთის სოფლებში.

ჩვენი რესპუბლიკის დღეგრძელთა მტკიცე რწმენით, ნადუღს სამკურნალო თვისებები აქვს. მაგალითად, მარგებელია თირკმლის დაავადების, კოლიტის, გასტრიტის დროს, ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, უხდება გულს. ამ პროდუქტის ესოდენ მაღალი შეფასების საწინააღმდეგო არც მედიკოსებს აქვთ.

1983 წელს საკავშირო გაერთიანება „ლიცენზინტორგმა" იაპონელებთან დადო შეთანხმება ნადუღის წარმოების ტექნოლოგიის გაყიდვის შესახებ. ამ პროდუქტის დამზადების უფლება მიიღეს „თომას ფუდსისა" და „ტოკიო ბოეკის" ფირმებმა. ლიცენზიის შესყიდვის შემდეგ ნაწილობრივ შეიცვალა ამ პროდუქტის დამზადების ტექნოლოგია. ახლა მას ამზადებენ წყალში გახსნილი ფხვნილის სახით.

— იქნებ უცნაურადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ მე „ერენ გრუზიის" ერთ-ერთი პირველი პოპულარიზატორი გავხდი იაპონიაში, — თქვა თბილისის თერაპიის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ნოდარ ყიფშიძემ, — შარშან ოქტომბერში ტოკიოში თერაპევტთა მსოფლიო კონგრესზე ჩემი ყოფნის დროს „ერენ გრუზიის" გამომშვები ფირმის წარმომადგენლებმა დამიყოლიეს, წამეკითხა ორი ლექცია ტოკიოსა და ჰიროსიმაში საქართველოს დღეგრძელთა შესახებ. ბევრი ვუმტკიცე, ამ დარგის სპეციალისტი არა ვარ-მეთქი, მაგრამ არ მომეშვნენ. ჰოდა, კონგრესის სხდომებისაგან თავისუფალ დროს მე წავუკითხე მათ ეს ლექციები. იაპონელები მეკითხებოდნენ, რას ჭამენ ჩვენი დღეგრძელნი, კერძოდ, განსაკუთრებით დააინტერესა ისინი ნადუღმა. ფირმის წარმომადგენლებმა მთხოვეს გამესინჯა „ერენ გრუზია". ეს იყო ნამდვილად მშვენიერი, მატონიზებული, ვიტამინიზებული სასმელი. გემოთი იგი მომაგონებდა ნადუღს, მაგრამ ეს მაინც სასმელია და კიდევ ვიმეორებ — დიდებული სასმელი! იგი სულ უფრო პოპულარული ხდება იაპონიაში და იქ ფიქრობენ გააფართოონ მისი წარმოება. დასანანია, რომ ჩვენთან, თბილისში, ასეთ რამეს არ აწარმოებენ.

მართლაც, ძალიან დასანანია, სხვათა შორის, ისიც დასანანია, რომ საწარმოო გაერთიანება „თბილისრძე" ყოველდღიურად ტონა-ნახევარ ნადუღს ვერ ასაღებს. მიზეზი? გაერთიანების დირექტორის დავით დათოშვილის აზრით, ნადუღი არ არის ჩვენში პოპულარული. მტკიცება, მე ვიტყოდი, სრულიადაც არ გახლავთ დამაჯერებელი. სხვა საქმეა, რომ ყოველი სასურსათო პროდუქტი უნარიან კვალიფიციურ რეკლამას მოითხოვს და, რა თქმა უნდა, ხარისხიანიც უნდა იყოს.

ცნობილია, რომ იაპონელები ხორცის დიდი მოყვარულები არ არიან. ტრადიციული იაპონური სამზარეულო — მოხარშული ბრინჯი სხვადასხვაგვარი საწებლებით, თევზი, ბოსტნეული — პრაქტიკულად ღარიბია ცილებით. სწორედ აქ დაეხმარა მათ ნადუღი, რომელიც ადამიანისათვის ცილების შესანიშნავი მიმწოდებელი გამოდგა. სწორედ მის ამ ღირსებას უწევენ აქტიურ პროპაგანდას ნადუღის მწარმოებლები იაპონიაში.

აქ უპრიანია მცირე ექსკურსი ისტორიაში. როგორც მოწმობს ჩინური ქრონიკა „ვეიში", VII საუკუნეში ჩინეთში ყოფნისას იაპონელები გაეცნენ ჩინურ დელიკატესს — პილპილიან ხაჭოს — ფარაგას, რომელსაც მათ ჩაის სმის დროს მიართმევდნენ ხოლმე. ხაჭო ძალიან ეგემრიელათ, მასზე აღტაცებით ლაპარაკობდნენ სამშობლოში. მაგრამ ეს საჭმელი იაპონიაში არ გავრცელდა ერთი მიზეზით: ქვეყანაში განვითარებული არ იყო სარძეო მეცხოველეობა. მხოლოდ ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო ჰოკაიდოს კუნძულზე მეცხოველეობის ამ დარგის ინტენსიური განვითარება, — ამბობს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საკავშირო გაერთიანება „ლიცენზინტორგის" წარმომადგენელი იაპონიაში ალექსანდრე მგავანაძე. და მაშინვე იაპონელები დიდად დაინტერესდნენ რძისმჟავა პროდუქტებით. მთელ მსოფლიოში ეძებდნენ ისინი საუკეთესო რეცეპტებს. საფრანგეთში, დანიაში, კანადაში, ბულგარეთსა და სხვა ქვეყნებში ლიცენზიებით შესყიდული მაწვნის დედოს ბაზაზე მოაგვარეს საკუთარი წარმოება.

მაგრამ ნადუღმა ყველას აჯობა. სასმელ „ერენ გრუზიის" გამოშვება ხელს უწყობს ამომავალი მზის ქვეყანაში საქართველოს პოპულარიზაციას.

ჰოდა, იქნებ, ჩვენც სხვა თვალით შეგვეხედა ნადუღისათვის. ეს ეხება არა იმდენად მყიდველს, რომელმაც მშვენივრად იცის, რა გემრიელი და მარგებელია ეს ძველი ქართული საჭმელი, რამდენადაც მრეწველობას, რომელიც უშვებს რძის პროდუქტებს და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მათდამი ჩვენს დამოკიდებულებას.

ვახტანგ ლომთაძე.

ინფორმაცია — 85 ● ინფორმაცია — 85

ბარაქალა შენს ქალობას!

ზესტაფონის რაიონის სოფელ ილემის სასოფლო კლუბში დაბადების 80 წლისთავის იუბილე გადაუხადეს მრავალშვილიან დედას აგრაფინა კვირიკაშვილ-თურმანიძეს.

დამსწრენი სიყვარულსა და პატივს მიაგებდნენ 10 შვილის გამზრდელ დედას. ნაადრევად გარდაცვლილი თენგიზი და დიდ სამამულო ომში დაღუპული გუგულაც გაიხსენეს. ითქვა, რომ რესპუბლიკის რაიონებში, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე სასახელოდ შრომობს ამაგდარი დედის რვა შვილი.

აგრაფინას ერთი შვილი გიორგი ორჯონიკიძის რაიონის მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის დირექტორის მოადგილეა მშენებლობის დარგში, ვაჟა ამავე რაიონის მინერალური წყლის — „ზვარის" ჩამოსასხმელი ქარხნის ორთქლის ქვაბის გამმართველია, დურმიშხანი სახელმწიფო ტყის მცველია მოლითის სატყეო უბანში, ზაური შორაპნის ელემენტების ქარხნის საამქროს მუშაა, მანუჩარი — სოფელ ილემის მეცხოველეობის ფერმის მწყემსი, თამაზი — კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემის ავტომძღოლი, ნუნუ კი დიასახლისი.

ღვაწლმოსილ დედას ჯანმრთელობა, ბედნიერება, შთამომავლობის გამრავლება უსურვეს თანასოფლელებმა.

ჰ. შარიქაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ყველაზე ლამაზი ბაზრობა

მისი გულისგული თბილისის უნივერმაღი „ბავშვთა სამყაროა", სულ კი რესპუბლიკაში ორასი სასკოლო ბაზრობა ახმიანდა 15 აგვისტოს. „ბავშვთა სამყაროში" მარტო დარბაზებში კი არა, აივნებზეც ვაჭრობენ. სხვაგანაც, ჩვენი ქალაქებისა და სოფლების მხოლოდ მაღაზიებში კი არა, საზეიმოდ მორთულ ქუჩებში და მოედნებზეც გამოუტანიათ სამოსწავლო ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ჩანთები, წიგნები, რვეულები, კალმები... ეს ყველაფერი გულში დაუტევველი სიხარულივითაა და ამ ბაზრობას, რა თქმა უნდა, სხვებს ვერ შევადარებთ.

ახალ სამყაროთა ხილვისა და შეცნობის წარმტაცი გზებით სიარულს აღუთქვამს ახალი სასწავლო წელი არა მარტო პირველკლასელებს, წიგნზე მეოცნებე ამ პაწაწინა მოქალაქეებს, არამედ ყველას, ვისაც სულ მალე სკოლის ზარი მოუხმობს. კერძოდ, ჩვენი მე-9 — მე-10-კლასელები წელს პირველად გადაშლიან წიგნს, რომელსაც ყდაზე აწერია „გამოთვლითი ტექნიკა და ინფორმაციის საფუძვლები".

ახალი სასწავლო წლიდან სასკოლო პროგრამაში კიდევ ერთი ახალი დისციპლინა იქნება „ეკონომიკური განათლება — ბავშვებს". მის შესწავლაში კეთილ მეგზურობას — ყმაწვილებს „ეკონომიკური ცნობარი" გაუწევს.

უაღრესად საინტერესო და სასარგებლო იქნება მათთვის სახელმძღვანელო „საოჯახო ეთიკა და ფსიქოლოგია". სკოლები დროულად მომარაგდა ყველა სხვა სახელმძღვანელოთიც. ერთი სიტყვით, წიგნის უქონლობას ვერავინ დაიჩივლებს. ასე რომ, ახლა მთავარია, სასკოლო ბაზრობაზე საჭირო თადარიგი დაიჭირონ მოსწავლეებმა და მშობლებმა, ყველაფერი დროულად შეიძინონ, რათა მერე, როცა სწავლა დაიწყება, სამისოდ დრო აღარ დაკარგონ.

საქონელი კი, აშკარად, უხვად გამოუტანიათ სასკოლო ბაზრობებზე. ბაზრობათა ორგანიზატორებს გაუთვალისწინებიათ, რომ შარშან მოსწავლეებს არ ეყოთ საერთო რვეულები, დღიურები, ზოგიერთი სხვა საკანცელარიო ნივთი. განსაკუთრებით უზრუნიათ იმაზე, რომ მოსწავლის ყველა ზომის ტანსაცმელი ჰქონოდათ. და მაინც, განსაკუთრებულ ყურადღებას, რაღა თქმა უნდა, ბაზრობაზე მშობლებთან ერთად მოსულ პატარებს უთმობენ, იმათ, ვინც წელს პირველად უნდა მიაშურონ სკოლას. მართლაც, შესანიშნავად მოუფიქრებიათ უნივერმაღ „ბავშვთა სამყაროში" — სანამ მშობლები ივაჭრებენ, ყმაწვილებს შეუძლიათ ბავშვთა ოთახში მხიარული მულტფილმები ნახონ, ჭადრაკითა თუ შაშით გაერთონ.

დიახ, გართობისთვის მათ კიდევ დიდი დრო აქვთ, მალე კი სექტემბრის ხალისიანი ზარი ჩამორეკს და შემდეგ: „ჯერ სწავლა, მერე — გავლა".

კარს მომდგარი ცოდნის ზეიმის შუქი ანათებს ჩვენს სასკოლო ბაზრობას. („კომუნისტის" კორ.).

ზღვა წარსულს გვიბრუნებს

კოლხეთის ზღვისპირა ქალაქში იმყოფება წყალქვეშა ანუ ჰიდროარქეოლოგიის სამეცნიერო ექსპედიცია, რომელიც შორეულ საუკუნეებში პალიასტომის ტბასა და ზღვის ფსკერზე დანთქმულ მატერიალური კულტურის ძეგლებს, ნასახლარებსა და სხვა ნივთიერ ნიმუშებს იკვლევს.

ამის თაობაზე ექსპედიციის ხელმძღვანელმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა გელა გამყრელიძემ გვითხრა: — ჩვენი ექსპედიცია კომპლექსურია, მასში შედიან ისტორიკოსები, გეოლოგები, გეოგრაფები და არქეოლოგები. მისი მიზანია განაგრძოს ჩვენი საუკუნის 50-იანი წლებიდან ცნობილი მეცნიერების — აკადემიკოს ა. აფაქიძისა და პროფესორ ო. ლორთქიფანიძის მიერ დაწყებული ინტენსიური წყალქვეშა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები შავი ზღვის, ტბებისა და მდინარეების სანაპირო ზოლებში.

ამჯერად ძველი ფოთის ანუ ფაზისის ადგილმდებარეობას ვიკვლევთ, ვაზუსტებთ წერილობით წყაროებსა და ზეპირ გადმოცემებში შემონახულ მოსაზრებებს; ვაგროვებთ წყლის ფსკერიდან ამოღებულ ნივთიერ ნიმუშებს, რაც საფუძვლად დაედება ფოთის რეგიონის სანაპირო ზოლის წყალქვეშა არქეოლოგიური რუკის შედგენას. უკვე ჩვენს ხელთ არის პალიასტომის ფსკერიდან ამოღებული ამფორების, კერამიკული ნატეხებისა და სხვა ნიმუშების პირველი საინტერესო კოლექცია. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ჩვენი წელთაღრიცხვის V-VI საუკუნეებს განეკუთვნება და გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელ ფაზისელთა ცხოვრებასა და საქმიანობაზე. ნაპოვნი მიგვანიშნებს, რომ შორეული წინაპრები მარცვლეულს თიხა-კერამიკის ჭურჭელში ინახავდნენ, ამარილებდნენ თევზს, ხდიდნენ ზეთს, მონეტებსაც გამძლე, ეგრეთ წოდებულ კერამიკულ სეიფებში ინახავდნენ.

ექსპედიციის სამუშაო გეგმით განზრახულია აგრეთვე ზღვის ფსკერის დაზვერვა-მოკვლევა. სექტემბრის ბოლოს ექსპედიცია ანგარიშით წარდგება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული კომისიისა და სპეციალური სამეცნიერო ცენტრის გაერთიანებული სხდომის წინაშე.

კ. კომახიძე,
„კომუნისტის" კორ.

დიპლომი — საერთო საცხოვრებელს

ტყიბული. (საკ. კორ.). შეჯამდა მუშათა და სტუდენტთა საუკეთესო საერთო საცხოვრებლის საკავშირო დათვალიერება-კონკურსის გასული წლის შედეგები. ჩვენი რესპუბლიკიდან კონკურსის გამარჯვებულად ცნეს ლენინის სახელობის შახტის მუშათა საერთო საცხოვრებელი, რომელიც წლების მანძილზე მრავალმხრივ და მეტად საინტერესო მუშაობას ეწევა ახალგაზრდა მუშების საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად.

ჟიურის გადაწყვეტილებით მეშახტეთა საერთო საცხოვრებელს საპატიო დიპლომი და 2.000 მანეთი ფულადი პრემია მიეკუთვნა.

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ერთი კალენდარული მატჩი. გთავაზობთ შედეგს: მოსკოვის „სპარტაკი"-ბაქოს „ნეფთჩი" — 2:0.

რაგბი. მოსკოვში მოეწყო საკავშირო თასის მეთორმეტე გათამაშების ნახევარფინალური შეხვედრები. შედეგები ასეთია: მოსკოვის „სლავა"-ლენინგრადის „პრომეთეი" — 10:9, მოსკოვის „ლოკომოტივი"-თბილისის „შევარდენი" — 12:6. „სლავასა" და „ლოკომოტივს" შორის ფინალური მატჩი გაიმართება 18 აგვისტოს.

ტყვიის სროლა. მოსკოვში დამთავრდა გაზეთ „სოვეტსკი პატრიოტის" პრიზების გათამაშება. ამ საერთაშორისო შეჯიბრების ბოლო დღის მედლების ოთხი კომპლექტი განაწილდა. გაგაცნობთ გამარჯვებულთა ვინაობას: ნონკა მატოვა (ბულგარეთი; მცირე კალიბრიანი შაშხანის სამი მდგომარეობიდან სროლა — 586 ქულა), ლენინგრადელი აკოფ გრიგორიანი (პნევმატური შაშხანის სროლა — 586), ჩერნიგოველი ვიქტორ სპლივეცი (პნევმატური შაშხანის „გაქცეულ ტახზე" სროლა — 383) და გროდნოელი მარიან ობროშკო (ხუთ ფიგურულ სამიზნეზე სროლა — 597 ქულა).

მშვილდოსნობა. უნგრეთის ქალაქ ნიერგეშუიფალუში დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება „მეგობრობა". „მ-1" ვარჯიშში ქალთა შორის შესაბამისად პირველი-მეორე ადგილები დაიკავეს საბჭოთა სპორტსმენებმა — დუშანბელმა გ. პულატოვამ (1297 ქულა) და ყაზანელმა ე. ტუტაჩიკოვამ (1240). მესამე ადგილი წილად ხვდა მონღოლეთის წარმომადგენელს ა. ტამირს (1196). ვაჟთა შორის წარმატებით იასპარეზა თბილისელმა ვადიმ რეშეტოვმა. მან 1247 ქულით მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. აქ უძლიერესი იყო ნოვოკახოვკელი ვ. პავლოვი (1253). მესამე ადგილზე გამოვიდა კიმ სონგ ხო (კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა) — 1221 ქულა.

ჭადრაკი. მსოფლიოს გამოჩენილი მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილი ვარნაში მიმდინარე პიონერთა რესპუბლიკური საჭადრაკო ტურნირის საპატიო სტუმარია. მან პიონერებთან 25 დაფაზე ერთდროული თამაშის სეანსი გამართა: 15 პარტია მოიგო, 7 ყაიმით დაასრულა და 3 წააგო.

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

18 აგვისტო

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30 — სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის გამო. დოკუმენტური ტელეფილმები. 10.20 — „სპორტლოტო". 10.30 — მაღვიძარა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — ჯანმრთელობა. 12.45 — „დილის ფოსტა". 13.15 — „ერალაში". 13.30 — სოფლის საათი. 14.30 — მუსიკალური კიოსკი. 15.00 — მოგზაურთა კლუბი. 16.00 — სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღე. გამოდის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალი, ავიაციის მარშალი ა. ნ. ეფიმოვი. 16.15 — კონცერტი. 17.00 — ახალი ამბები. 17.05 — ანდრონიკოვის სიტყვა. ტელეფილმი. 17.55 და 23.05 — ევროპის თასი მძლეოსნობაში. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — საჰაერო დღესასწაული ტუშინში. 20.35 — ახალი ამბები. 20.40 — მხატვრული ფილმი „გადახრა — ნული". 22.00 — „ვრემია". 22.35 — საფეხბურთო მიმოხილვა. 0.05 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — მხიარულ ტალღაზე. 9.30 — რიტმული ტანვარჯიში. 10.00 — რუსული მეტყველება. 10.30 და 20.45 — დოკუმენტური ტელეფილმები. 11.20 — კონცერტი. 12.00 და 14.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 12.20 — აშკარა—დაუჯერებელი. 13.25 — მხატვრული ტელეფილმი „როცა დიდები ხდებიან". 14.40 — მულტფილმები. 15.00 — კონცერტი. 15.30 — მხატვრული ტელეფილმი „დარტანიანი და სამი მუშკეტერი". მეორე სერია. 17.05 — სიცილის გარშემო. 18.25 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 18.55 — გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორები — ლენინური პრემიის ლაურეატები. დ. კაბალევსკი. 19.25 — მუზეუმებსა და საგამოფენო დარბაზებში. 20.00 — ფეხბურთი. მინსკის „დინამო" — „დნეპრი". შესვენების დროს (20.45) — „ძილი ნებისა, პატარებო!". 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ფილმი „უკანასკნელი პაიდუკი".

19 აგვისტო

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — საფეხბურთო მიმოხილვა. 10.05 — „იგუგუნე, სიმღერავ". 10.50, 15.50 და 18.40 — დოკუმენტური ფილმები. 11.05 — მხატვრული ტელეფილმი „როგორ იწერება სიტყვა „მზე". 16.55 — კონცერტი. 17.25 — ისწავლე და გააკეთე. 17.55 — კონცერტი. 19.30 — მხიარულ ტალღაზე. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მულტფილმი. 20.10 — წუდება ადგილზე. 20.55 — ვიეტნამელ მსახიობთა გამოსვლა. 21.05 — მხატვრული ტელეფილმი „მე ვიცი გუბეებზე გადახტომა". მეხუთე სერია. 22.00 — „ვრემია". 22.35 — ფილმ-ოპერა „ანუში". შესვენების დროს (23.40) — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.20 — დოკუმენტური ფილმი. 9.30 — მხატვრული ფილმი „უკანასკნელი პაიდუკი". 11.05 — დოკუმენტური ტელეფილმი. 11.25 — კონცერტი. 11.55 — „ეკოლოგიური დღიური". 12.25 — ფილმი — ბავშვებს. 13.10 — რუსული მეტყველება. 13.40 — მულტფილმები. 14.00 — კონცერტი. 14.30 — მე ბავშვობიდან ვარ. ნ. ნოსოვი. 15.10 — ფილმ-კონცერტი. 19.15 — რიტმული ტანვარჯიში. 20.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 21.20 — მსოფლიო ჩემპიონატი ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობაში. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ფილმი „სად წავა!"

თბილისი

18 აგვისტო

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — „მოამბე". 10.15 — დილის გასართობი პროგრამა. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები" (განმეორებით). 11.45 — საკვირაო გამოფენა. 11.50 — დოკუმენტური ფილმი. 12.00 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.). 12.45 — საკვირაო გამოფენა. 12.50 — ხალხური შემოქმედება — სიმღერის შესწავლა („მშვენიერო, შენ გეტრფი", გაკვეთილს უძღვება რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. ხატელიშვილი). 13.20 — კინოაფიშა. 13.50 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ჩოგოვაძეები". 14.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მფრინავ ვესელოვსკის ორიენტირები". 14.20 — საკვირაო გამოფენა. 14.25 — ს. პროკოფიევის ოპერა „დუენიას" სცენები (ლენინგრადის საოპერო თეატრის დადგმა). 15.25 — ვესტნიკი. 15.55 — საკვირაო გამოფენა. 16.00 — დღეს საბჭოთა კავშირის საჰაერო ფლოტის დღეა (მ.). 16.15 — „ეკონომიკა ყველა ჩვენგანის საზრუნავია". 16.35 — „მუსიკის მოყვარულთა კლუბი" (გადაცემას უძღვება რესპუბლიკის სახალხო არტისტი ჯ. კახიძე). 17.15 — საკვირაო გამოფენა. 17.20 — „თბილისი და თბილისელები" — სატელევიზიო ჟურნალი. 17.55 — კონცერტი „თქვენი თხოვნით!" — თბილისის ცხიმკომბინატის მოწინავე მუშაკთა თხოვნით. 18.55 — საკვირაო გამოფენა. 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მ.). 19.45 — „ზღაპრის გუდა". 20.00 — „მოამბე". 20.35 — ამბავი ნამდვილი ადამიანებისა — მხატვრული ფილმი „გადახრა — ნული". 22.00 — „ვრემია". 22.35 — საფეხბურთო მიმოხილვა (მ.). 23.05 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი.

19 აგვისტო

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — „მოამბე". 10.10 — დოკუმენტური ფილმი „ადმირალი მაკაროვი". 10.30 — არდადეგები, არდადეგები... სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა". მხატვრული ფილმი „მიიღეთ დეპეშა ნისიად". 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.20 — თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბუნების საუნჯე". 17.00 — რეკლამა. 17.05 — დოკუმენტური ფილმი „კარლ მარქსი — მეცნიერი, რევოლუციონერი, ადამიანი"... 17.55 — არდადეგები. არდადეგები... უფროსების მხარდამხარ. 18.15 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.45 — განცხადებები. 18.50 — ახალგაზრდობისათვის — „ცვლა". 19.25 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — ახალგაზრდობისათვის — „ევროპის სტადიონებზე". 21.10 — შრომითი სემესტრის მონაწილეთათვის — „დედას ვუყვარვართ შვილები". 22.00 — „ვრემია". 22.35 — უჩვენებს სატელევიზიო თეატრი — ო. იოსელიანი — „ადამიანი იბადება ერთხელ". რეჟისორი — თ. ჩხეიძე, მონაწილეობენ — ტ. საყვარელიძე, ნ. კობერიძე, თ. სხირტლაძე, გ. ხურცილავა, ა. იოსელიანი, გ. ჩუგუაშვილი და სხვანი (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები). 23.50 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.35 — დოკუმენტური ფილმი „სიცოცხლის არტერიები". 17.25 — მხატვრული ფილმი „ასი დღე ბავშვობის შემდეგ".

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 08857 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14